პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1932 წ. მაისი
პარიზი

№ 24

1932 — MAI
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁝ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაისო

ჩეხოსლოვაკია საქართველოს

მაისი არის ისტორიული თვე საქართველოს ცხოვრებაში. 1 მაისი ეს არის მსოფლიო დიდი დღესასწაული შრომის და საერთაშორისო სოციალიზმის; ამ დღეს საქართველოს სოციალდემოკრატია გაერთიანებულია ჩვენთან, მთელი ქვეყნის სოციალისტებთან საერთო მანიფესტაციაში ერთა თავისუფლებისათვის, თავისუფლებისათვის ყველა მშრომელთა დედამიწის ზურგზე, ახალ სოციალისტურ ორგანიზაციისათვის ადამიანთა საზოგადოებაში. რომელშიაც არ იქნება არავითარი უპირატესობანი და ცრუმორწმუნოებანი, არ იქნებიან ტირანები და მონები, მათხოვრები და მშივრები და რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლიანობაზე და ჰუმანიზმზე, პოლიტიკურ დემოკრატიაზე ისე, როგორც ეკონომიურზე, კულტურაზე და მეცნიერებაზე და თვითეული ადამიანის წმიდათა წმიდა უფლებაზე შრომის, სიცოცხლის და ყოველნაირი მისი ბედნიერების.

26 მაისს კი ვიყრით ყველა თავს, რათა გავერთიანდეთ საერთო ყიჟინაში და საერთო ბრძოლაში დემოკრატიული საქართველოს თავისუფლებისათვის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის სახელოვანი, გმირული, უმაღლესათ კულტურული და დემოკრატიული ქართველი ერის. ყოველთვის ამ თვეში ჩვენი კეთილი სურვილები და სალამი შურდულივით მიექანებიან ჩვენს მშვენიერ საქართველოში; უფრო მეტათ, ვინემ სხვაგან სადმე, ჩვენ ჩეხოსლოვაკელები ვართ გაერთიანებული ერთი გრძნობით ჩვენს მეგობარ ქართველებთან ერთათ. ჩვენც ჩეხოსლოვაკები ვეწეოდით ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის და ეხლაც ვიბრძვით ჩვენი სოციალისტური იდეალის განხორციელებისათვის დამოუკიდებელ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში. ჩვენი სლოვაკები ათასი წლის განმავლობაში დამონებულნი იყვნენ უნგრეთში აზნაურთა წოდების მიერ შექმნილი საშინელი ტირანიით. ჩვენ ჩეხები სამასი წლის განმავლობაში ვიყავით ჩაჭედილნი ჰაბსბურგთა დინასტიის ტირანიის კუბოში. ყველაფერ ამას გავუძელით. ყველაფერი ეს გადავიტანეთ! ჩვენ ჩეხოსლოვაკებმა პირველ რიგში დავამსხვრიეთ ავსტრო-უნგრეთის ჰაბსბურგთა ძველი მონარქია და ავაგეთ საშუალო ევროპაში მტკიცე დემოკრატიული და რესპუბლიკანური ფუძე. გავიმარჯვეთ ჩვენ და გაიმარჯვებენ აგრეთვე ქართველებიც! გაიმარჯვებს წმიდა საქმე თავისუფლების და ერთა დამოუკიდებლობის, გაიმარჯვებს საქმე დემოკრატიის და საერთაშორისო სოციალიზმის. უსაზღვრო ჩქარი ტემპით მიექანება დღეს ყველაფერი წინ. რადიოს, ჰაერში მისვლა-მოსვლის და ტექნიკის სასწაულებრივ საშვალებათა დროში წინსვლა ხდება ვულკანურ-რევოლიუციონური განვითარებით. გავსძელით ბოლომდის ჩვენ ჩეხოსლოვაკებმა და უნდა გასძლონ ქართველებმაც!

და ჭეშმარიტათ, ერთი უდიდესი დღეთაგანი იქნება ჩვენს ბობოქარ ცხოვრებაში ის მომენტი, როდესაც თქვენს ერთგულ მეგობრებს საშუალება მოგვეცემა თავისუფალ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკიდან მივიდეთ თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში და მაშინ კი ჩვენი მოლოცვა და მხურვალე სალამი — დაწყებული ჩვენი თავისუფალი კრონოშიდან და ტატრებიდან მოედება მთელ თქვენ თავისუფალ კავკასიას.

ჯერ კი 1 და 26 მაისს ვესალმებით თქვენს ძვირფასს ნოე ჟორდანიას, ვესალმებით საქართველოს მთელ სოციალდემოკრატიას და ვესალმებით მთელ ქართველ ერს.

გაუმარჯოს ძმურ კავშირს ჩეხოსლოვაკიის და საქართველოს, გაცისკროვნებულს საერთაშორისო სოციალიზმის წმიდა და დიდი იდეალით.

D-r ფრანტ. სოუკუპი
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის
სენატის თავმჯდომარე.

◆

ორი არჩევანი

ამ ერთ თვეში მოხდა ორი დიდმნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევანი: ერთი გერმანიაში პრეზიდენტის და პრუსიის ლანდტაგის, მეორე საფრანგეთში, დეპუტატთა პალატის.

ამ ორი მოვლენის გასაგებათ საჭიროა წარმოვიდგინოთ ის ისტორიული მდგომარეობა რომელშიაც იმყოფება ეს ორი ქვეყანა. გერმანია პოლიტიკურათ ამ ჟამათ განიცდის იმ სულისკვეთებას, რომელსაც განიცდიდა საფრანგეთი ამ ორმოცდაათი წლის წინეთ, პრეზიდენტი მაკმაჰონის ეპოქაში—დარჩეს რესპუბლიკათ თუ დაუბრუნდეს ამა თუ იმ სახით მონარქიულ წყობილებას. ეს ბრძოლა დიდებულათ დააბოლოვა საფრანგეთმა რესპუბლიკის სასარგებლოთ. ეგევე ბრძოლა წარმოებს დღეს გერმანელთა შორის. მაშასადამე, გერმანიის არჩევნები ტრიალებდენ ერის პოლიტიკური შენობის ძირითად საფუძვლის გარეშემო, მისი წყობილების, მისი კონსტიტუციის ირგვლივ. საფრანგეთში კი ეს საკითხი გადაჭრილია დიდი ხანია, ის არ იწვევს დავას და ამიტომ არჩევნები ხდებოდა ამ უკვე დამკვიდრებულ კონსტიტუციის ფარგლებში მუშაობის ირგვლივ, პოლიტიკური და სოციალური რეფორმების გარეშემო. პირველი ეხება თვით შენობის აგებას, მის ორგანიზაციას. მეორე კი აგებული შენობის მოწესრიგებას, შიგ ავეჯეულობის დალაგებას სასიამოვნო ბინათ გადასაქცევათ. აი ამ ორ სხვადასხვა ხაზზე ეწყობა ორივე ქვეყანაში პოლიტიკური შეჯახება და ბრძოლის შედეგები.

გერმანიაში. აქ არჩევნების დამახასიათებელი თვისებაა ბურჟუაზიულ პარტიების განიავება და ორი დიდი უკიდურესი ბანაკის ჩამოყალიბება—რესპუბლიკანულის და ანტირესპუბლიკანულის. მაშინ როდესაც ყოველგან, ყველა ქვეყანაში ლიბერალური რეჟიმის, მტკიცე უფლებრივი ნორმის მატარებელი იყო და არის საშუალო კლასები, გერმანიაში ესენი გადაუდგენ ამ თავის დოქტრინას და გადაბარგდენ ძალმომრეობის და დიქტატურის მოციქულთა—ჰიტლერების ბანაკში. ბურჟუაზიის ასეთი შებრუნება პირველი მაგალითია მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში. ის ამ ჟამათ ებრძვის არა მარტო რესპუბლიკას, არა მარტო ლიბერალური რეჟიმის ამ გარეგან ჩარჩოს, არამედ თვით რეჟიმს და მის ყოველნაირ ფორმას. ფაშიზმი გახდა მისი საამდროვო დროშა. ეს რასაკვირელია, გარდამავალი საფეხურია მონარქიისაკენ, რითაც ის ბოლოს და ბოლოს უნდა დაბოლოვდეს. მაგრამ ამ შუა პერიოდში ის გაფაშისტებულია. ჰიტლერი მის მედროშეთ აღიარებულია. ამ ბანაკს თავისი უარყოფითი პროგრამით ეკუთვნის მეორე ანტიდემოკრატიული მიმდინარეობა—კომუნიზმი. ეს პარტია, პრეზიდენტის არჩევის დროს წაქანებული, ისევ გაიმართა პრუსიის არჩევნებში და დიდი გამარჯვება ირგუნა. პრუსიის მცხოვრებთა უმრავლესობა, მაშასადამე, დღეს არ დგას კონსტიტუციის და რესპუბლიკის ნიადაგზე და ილტვის შემოიღოს ეს თუ ის დიქტატურა. ამ შეერთებულ ბანაკს ეპირდაპირება ასეთივე შეერთებული ფრონტი—სოციალდემოკრატია და ცენტრის პარტია, რაიცა ამ ხანათ პრუსიაში უმცირესობაშია. და თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ ცენტრი, როგორც რელიგიური შეჯგუფება, ყოველნაირ რეჟიმს შეურიგდება ოღონდ კათოლიკური ეკლესიის უფლებები უზრუნველყოს, ცხადი იქნება, რომ მართლა დემოკრატიული და რესპუბლიკანული ბანაკი ერთია—ეს გერმანიის ს. დ. პარტია. ამ მიზნით ამ პარტიამ გაიღო და ყოველ დღე იღებს აუარებელ მსხვერპლს—თავის პოპულიარობას, პროგრამის სიწმინდეს, ტაქტიკურ შეურიგებლობას. მაგრამ აზღვავებულ უკმაყოფილო მასებს, რადიკალურათ განწყობილს, ის თავის ირგვლივ ვერ იჭერს და ავანტიურისაგან ვერ აშორებს. ჰიტლერელებთა მთავარ ჯარს შეადგენს არა ბურჟუაზია, რასაკვირელია, რომლის რიცხვობრივი შემადგენლობა მცირეა, არამედ წვრილი შეძლების და წვრილი საკუთრების მოქალაქენი, რომელნიც ბუნებრივათ პროლეტარიატის თანამგზავრი უნდა იყოს და დღეს კი მას დაშორებია. «ფორვერტსის» (27 აპრილი) ანგარიშით ამ პარტიას შეუერთდა არა ნაკლები ნახევარი მილიონი კომუნისტურათ განწყობილი ამრჩეველისა; ეს კიდევ ცოტაა, იმავე პარტიას მისცეს ხმა მრავალმა სოც. დემოკრატიულ ამომრჩეველმა. ხდება საკვირელი პროცესი: სოციალისტურათ განწყობილი მოქალაქე დადის ერთი სოციალისტური პარტიიდან მეორეში და მესამეში, სოციალიზმის საძებნელათ. ე. ი. მასა, არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო, ეძებს გამოსავალს სოციალიზმში, მაგრამ ის ვერ მიუგნია და მის ძებნაშია. ჰიტლერმა კარგათ მიუხვდა ეს ხალხს და თავის პარტიას სოციალისტური უწოდა, ხოლო სოციალური შინაარსი კი კომუნისტებიდან ისესხა—აშკარა დემაგოგიური და ავანტიურისტული. რა გასამტყუნია ეს სოციალიზმის მძებნელი ხალხი, როცა თვით სოც. ინტერნაციონალის ლიდერებსაც კი ვერ გამოურკვევიათ სად ნამდვილი სოციალიზმია და სად ყალბი. თუ კი ბოლშევიკური დემაგოგია სოციალიზმია, რით ჩამორჩება მას ჰიტლერის პარტია, რომელიც დაპირებებში მოსკოველებსაც კი აჭარბებს. რაკი სოციალიზმს დაეკარგა ისტორიული პერსპექტივა, ამით კარი გაეღო ყოველი ჯურის ავანტიურისტებს და ესენიც ამ გარემოებით დიდათ სარგებლობენ.

ამნაირათ, გერმანია იმყოფება ამ ჟამათ პოლიტიკური გადატეხის პერიოდში. ნაც. სოციალიზმი დემოკრატიული გზით ეპატრონება მართველობას, ჯერ პრუსიაში, შემდეგ მთელ გერმანიაში. ამ აუცილებლობას არა თუ არ შეურიგდა სოც. დემოკრატია, არამედ კიდევაც ხმა გაისმის მის სასარგებლოთ, დეე, იმართველონ და ჩქარა გაკოტრდებიანო. სწორეთ ასეთი პოზიცია დაიჭირეს რუსეთის ლიბერალებმა ბოლშევიზმის მიმართ რევოლიუციის ხანაში—შინჯონ, ჩქარა დაეცემიანო. ერთი ხალხი მეორესაგან ჭკუას ვერ სწავლობს, ეს უდაოა, მაგრამ ერთი პარტია, პოლიტიკური მოღვაწეებიც ვერ სარგებლობდენ მეზობელ ერთა და პარტიათა გამოცდილებით—ეს კი საკვირველია. ჰიტლერელების, ისე როგორც ბოლშევიკების, მართველობის სწრაფი გაკოტრება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ წესების საფუძველზე. და სწორეთ ამიტომ ისინი არ სცნობენ ამ წესებს და მიმართავენ ძალმომრეობას თავისი გაკოტრებული მართველობის პოლიციური ზომებით დასამაგრებლათ. ჰიტლერელთა მართველობა შეუძლებელია მოთავსდეს კონსტიტუციასან და დემოკრატიასან. მაშასადამე მის მალე დაცემაზე იმედის დამყარება თავის მოტყუებაა. გერმანია და მით მთელი ევროპა მრავალ მოულოდნელ მოვლენათა წინაშე დგას.

საფრანგეთში. საფრანგეთის არჩევნებმა ნათელყო სულ საწინააღმდეგო პროცესი. ვინაიდან აქ კონსტიტუციის საკითხი არ დგას, მასა მოწოდებული იყო თავისი აზრის გამოსათქმელათ მიმდინარე საკითხებზე, ამიტომ საარჩევნო შედეგები არ გამორებია დემოკრატიულ ფარგალს და არავითარი მოულოდნელობით ის არ დახასიათებულა. აქ ჩვენ ვხედავთ სრულიად ნორმალურ პოლიტიკურ განვითარებას: მარჯვენა ფრთა ვიწროვდება მარცხენათი, კონსერვატორ-რესპუბლიკანელები რადიკალურ-რესპუბლიკანელებით, უკანასკნელი რადიკალსოციალისტებით, რომელთა გვერდზე ძლიერდება სოციალისტები—განვითარება მიდის მარცხნივ. ე. ი. მასა უკმაყოფილოა არსებული მდგომარეობით და ფიქრობს მის წამლობას არა თვით პოლიტიკური ჩარჩოს გარღვევით, არამედ ამავე ჩარჩოში ძალთა გადაჯგუფებით, მემარცხნეთა უმრავლესობის შეყენებით. საერთოთ მარცხენა სექტორი შეიცავს 354 დეპუტატს. მარჯვენა კი 248-ს. გუშინდელი უმრავლესობა უმცირესობათ შეიცვალა. ჩვეულებრივათ სოციალისტების გაზრდა ხდება მის მარჯვენა სექტორის ხარჯზე. საფრანგეთში კი მოხდა უკუღმა, ისინი გაიზარდენ არა რადიკალ სოციალისტების, არამედ კომუნისტების ხარჯზე. ე. ი. სოციალიზმი ანგრევს აქ კომუნიზმს, თავს უყრის თავის ირგვლივ დანაწილებულ პროლეტარიატს და მით იდგენს თავის პირვანდელ მდგომარეობას. კომუნიზმი აქ ირღვევა შიგნიდანაც, მათ გამოეთიშა მრავალნი გავლენიანი პირები და სოციალისტ კომუნისტის დროშით გაიყვანეს 11 დეპუტატი, ხოლო მოსკოვის ყმებმა დიდის დავიდარაბით ათიოდე დეპუტატი იხვედრეს. ესეც სოციალისტების დახმარებით, რომელნიც მემარჯვენე რესპუბლიკანელის წინააღმდეგ კომუნისტს აძლევდენ ხმას ამ ლოზუნგით—შეუკარით გზა რეაქციასო, თითქოს კომუნისტებზე უძლიერესი რეაქცია დემოკრატიის ფარგალში მოიძებნებოდეს.

რა არის მიზეზი სოციალიზმის გაძლიერებისა საფრანგეთში?

მიზეზი მრავალია, ამათ შორის მთავარია: ძლიერი ბურჟუაზიული დემოკრატიის არსებობა, ე. ი. პოლიტიკური შუღლი ბურჟუაზიის შიგნით, რაიცა მასას ერეკება პოლიტიკურ აქტივობისაკენ. ბოლშევიზმის სისუსტე, ე. ი. ფაშისტური მიმართულების აღორძინების მთავარი მიზეზის არ არსებობა; რეაქციას საკვები მასალა არ აქვს; სოც. პარტიის მუდამ ოპოზიციაში ყოფნა და მით თავისი პროგრამული და ტაქტიკური სიწმინდის შენახვა; ხალხს ის არ უნახავს სახელმწიფო საქმეზე და მისგან არ მიუღია იმედის გაცრუება. სანამდე ის შეინახავს ამ უარყოფითი პოზიციას, უმრავლესობის მიღებამდე, როგორც ამას ითხოვენ მემარცხნენი, თუ კოალიციაში შევლენ რადიკალ-სოციალისტებთან—როგორც ამას მემარჯვენენი მოითხოვენ—ეს ჩქარა გამოირკვევა. ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის პოლიტიკა ნათელია, დემოკრატიული და რეფორმატორული სულისკვეთება გამტკიცებულია. არავითარი მოულოდნელობა ამ ქვეყნიდან ევროპას არ მოელის.

ამგვარათ, ორ მეზობელ ქვეყანაში დემოკრატიული საშვალებით გამოჩნდა ორი მოპირდაპირე გზა—გერმანიაში კონსერვატიული და რეაქციონური საზოგადოების გაძლიერება და ავანტიურის უფსკრულისაკენ გაქანება, საფრანგეთში კონსერვატიული და რეაქციონური საზოგადოების დასუსტება და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფა.

◆

საზიზღარი დანაშაულობა

6 მაის პარიზში მოხდა აღსაშფოთებელი ამბავი. ერთმა რუსმა გვარათ გორგულოვმა სასიკვდილოთ დასჭრა რევოლვერით საფრანგეთის პრეზიდენტი პოლ დუმერი. მეორე დღეს, 7 მაის დილით, დაჭრილი გარდაიცვალა. ამ ბარბაროსული აქტის მიზეზათ მკვლელმა ვერავითარი საზრიანი მოტივი ვერ მოიყვანა. მისი განცხადება, რომ შური იძია საფრანგეთზე იმის გამო, რომ ის ვითომ ეხმარება ბოლშევიკურ მთავრობას, ყოველივე საფუძველს მოკლებულია, არც ერთი სახელმწიფო არ არის ისე დაპირდაპირებული მოსკოვთან როგორც საფრანგეთი. ცხადია, ეს გამოგონებული ახსნა არის დაფარვა ნამდვილი მოტივის, როგორათაც ჭანუყვაძის განმარტება იყო დაფარვა სიმართლის ნ. რამიშვილის მოკვლის საქმეში. ეს ვაჟბატონები იმიზეზებენ არარსებულ მიზეზებს და მით ნათელყოფენ თავის სულისკვეთებას.

ამ ჟამათ მთელ ქვეყანაზე არ არის არცერთი პარტია, არცერთი ორგანიზაცია, რომელიც ეწეოდეს პოლიტიკურ ტერორს, გამონაკლის შეადგენს მხოლოდ მოსკოვის გეპეუ და კომინტერნი. დიდი ხანია მოსკოვი ითხოვს საფრანგეთის მთავრობიდან მოსპობას საქართველოს ლეგაციისა და რუსების სამხედრო ორგანიზაციისა. ეს ვერ მიაღწიეს კანონიერი გზით; გორგულოვის პროვოკაცია მათვის მისწრებაა; პოლიტიკური ემიგრანტების წინააღმდეგ საფრანგეთის საზოგადოების ამხედრება მოსკოვის წისქვილის აბრუნებაა. რაღა მაინდამაინც ახლა გამოჩდა «თეთრ-გვარდიელი» გორგულოვი, როცა პარიზმა არ შეასრულა მოსკოვის მოთხოვნილებანი და თვით პაქტიც საეჭვოთ შეიქნა.

ბ. ლიტვინოვს დიდათ გარეცხილი უნდა ქონდეს შუბლი, როცა წარბშეუხრელათ აცხადებს დღეს ჟენევიდან: კომუნისტები ტერორს არ მისდევენო, მაშინ როდესაც ამის წინააღმდეგი საბუთები მრავალია. თვით ბოლშევიკები არ მალავენ და მოგონებებს მოგონებებზე აყოლებენ თავიანთ გამოცემებში იმაზე, თუ როგორ ტერორს აწარმოებდენ საქართველოში (ბათუმში, თფილისში და სხ.) მის დამოუკიდებლობის დროს. აგაბეკოვის წიგნში რამდენი მაგალითია მათი ტერორისტული აქტისა ბალკანეთში (სოფიის ტაძარის აფეთქება და სხ.) თუ სხვაგან, ხოლო ბესედოვსკი დაწვრილებით მოგვითხრობს პილსუდსკის ასაფეთქებლათ მომზადებას და უკანასკნელ წუთში შემთხვევით მის ჩაშლას.

პოლ დუმერი ერთობ ცნობილი იყო თავისი ანტიბოლშევიკური მიდრეკილებით, პოლიტიკური ემიგრაციის მფარველობით. განსაკუთრებით მხარს უჭერდა საქართველოს თავისუფლებას, მუდამ აინტერესებდა ჩვენი სვე-ბედი, იცნობდა ზედმიწევნით ჩვენს საკითხს. პოლიტიკური რწმენით რადიკალი, უბრალო მუშის საფეხურიდან თავისი შრომით და ნიჭით უმაღლეს პოსტებამდე ასული და ბოლოს პრეზიდენტათაც არჩეული, რჩებოდა მუდამ თავის თავის, თავის დაბალი წარმოშობის ერთგული—მოტრფიალე თავისუფლების, მფარველი დაჩაგრულების. მან ომში დაკარგა ოთხი შვილი, ამბავი უმაგალითო ერთ ოჯახში; ამ საშინელებამ ის მაინც ვერ მოსტეხა, ძალზე მოხუცებული ახალგაზდურათ ემსახურებოდა თავის ქვეყანას, ენერგიით და მხნეობით სავსე. ის დასრულებული ტიპია მამულიშვილის, სამშობლოს სამსხვერპლოზე მთელი თავისი საუკეთესო განძეულობის მიმტანი და უწმინდესი მოვალეობის ამსრულებელი.

გორგულოვის პროვოკაციას ფარდა უნდა აეხადოს.

◆

ალბერ ტომა

7 მაის პარიზში გულის ავათმყოფობისაგან უეცრად გარდაიცვალა ალბერ ტომა.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის რიგებში ალბერტ ტომა მეტათ გამოჩენილ პიროვნებას წარმოადგენდა. ის იყო ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი, ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე.

ალბერ ტომა იყო ჟან ჟორესის ახლო მეგობარი და თანამშრომელი. მან ჟორესთან ერთად დიდი მონაწილეობა მიიღო «სოციალისტურ ისტორიის» შედგენაში, სადაც მას მეორე იმპერიის ისტორია მშვენიერათ აქვს გაშუქებული. «ჰუმანიტეს» ჟორესის მიერ დაარსების პირველ დღიდანვე ალბერ ტომა იყო მუდმივი თანამშრომელი ამ გაზეთისა, სადაც მას სპეციალურათ ქონდა მინდობილი სინდიკალური და კოოპერატიული მოძრაობის განყოფილების ხელმძღვანელობა.

მას დაწერილი აქვს ბევრი შრომები, რომელთა შორის აღსანიშნავია გერმანიის პროფესიონალური მოძრაობის და საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს სოციალისტური მოძრაობის ისტორია. განსაკუთრებით ცნობილია მისი შრომა ბაბეფზე.

ალბერ ტომა პირველათ არჩეულ იქნა შამპინის თვითმართველობაში 1904 წელს. ის ხელმეორედ იქნა იქ არჩეული 1908 წელს და 1912 წელს კი ხდება შამპინის ქალაქის თავათ.

1910 წელს მას ირჩევენ დეპუტატათ პარლამენტში, სადაც ის იპყრობს საყოველთაო ყურადღებას ორატორული ნიჭით. მას სოციალისტური ფრაქ-

ცია ანდობს საპასუხისმგებლო გამოსვლებს პარლამენტში, და სულ ცოტა ხანში ის ფრაქციის ერთი ლიდერთაგანია.

1914 წელს ალბერ ტომას ხელმეორედ ირჩევენ პარლამენტში. ომის დროს, 1915 წელს ის გედთან და სამბასთან ერთათ მონაწილეობას იღებს ბრიანის მთავრობაში, სადაც მას შეიარაღების სამინისტროს პორთფელი აბარია. მან აქ გამოიჩინა შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი და ინგლისის პირველ მინისტრ—ლოიდ ჯორჯთან ერთად მთელ ევროპაში ამ საქმის საუკეთესო მოშწყობათ ითვლებოდა.

როცა მუშავდებოდა ვერსალის ხელშეკრულება, ალბერ ტომამ პარლამენტში პირველმა მოითხოვა შექმნილიყო მუშების დასაცავათ საერთაშორისო ორგანო და ეს აღნუსხულ ყოფილიყო თვით ვერსალის ხელშეკრულობაში. შემდეგ, როგორც ვიცით, ამ ორგანომ მიიღო შრომის საერთაშორისო ბიუროს სახელწოდება და ამ ბიუროს დირექტორათ ალბერ ტომა სიკვდილამდე ითვლებოდა.

როგორც შრომის საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელი, ის ეცნობოდა მუშათა მდგომარეობას და ამ მიზნით მან ევროპის, ამერიკის და აზიის ბევრი ქვეყნები შემოიარა. ალბერ ტომას ქონდა შრომის განსაცვიფრებელი უნარი, სწორეთ გადამეტებულმა შრომამ მოშალა ის ფიზიკურათ და ჯერ კიდევ მხოლოთ 54 წლის წუთი სოფელს გამოასალმა.

ალბერ ტომა იყო წვრილ ერთა დიდი მეგობარი. განსაკუთრებული იყო მისი ყურადღება ქართველებისადმი. ალბერ ტომას მეტათ დიდი სამსახური გაუწევია საქართველოს დელეგაციისათვის ვერსალის კონფერენციაზე თავისი რჩევებით, თუ სხვადასხვა ცნობილ პირების გაცნობით და ჩვენადმი მათი თანამგრძნობის მოპოვებით.

ალბერ ტომას, როგორც შრომის საერთაშორისო ბიუროს თავმჯდომარეს დიდი დაუფასებელი სამსახური გაუწევია აგრეთვე ქართველ ლტოლვილებისათვის მათ სხვადასხვა ქვეყნებში გადასაყვანათ, თუ იქ მათთვის სამუშაოს შოვნით.

საფრანგეთის სოც. პარტიამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო ბელადთაგანი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ უდიდესი პირისუფალი, საფრანგეთმა თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე. ამ დიდ ფრანგს გულწრფელათ დასტირის როგორც მისი სამშობლო, ისე მთელი მოწინავე ქვეყანა...

◆

შორეულ აღმოსავლეთით

ამ უკანასკნელ თოთხმეტი წლის განმავლობაში ბოლშევიკები მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების იმედებს კოლონიალურ ერების მოძრაობაზე ამყარებდენ. მათი აზრით, დიდი ომის დროს და მის შემდეგ ხანაში აფრიკის და აზიის დამონებული ერების გასანთავისუფლებლათ საუკეთესო პირობები შეიქნა. კოლონიებში დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობის შედეგი კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ კოლონიების დაკარგვა იქნებოდა, ამით ბურჟუაზიულ ევროპას ხელიდან უდიდესი ბაზარი გამოეცლებოდა, ეს იქ დიდ ეკონომიურ კრიზისს და უმუშევრობას გამოიწვევდა და ევროპის ასეთ მდგომარეობის შემდეგ, ბოლშევიკების რწმენით, მისი გასაბჭოება მოყვებოდა.

ამ მიზნით და იმედით ბოლშევიკებმა დაგზავნეს თავიანთი ემისარები აფრიკის და აზიის ქვეყნებში. მილიონობით ხარჯავდენ ისინი ფულს ეგვიპტეში, სირიაში, არაბეთში, ჩინეთში, ინდო ჩინეთში. დიდი ჯაფა და ხარჯები გასწიეს აგრეთვე საბჭოთა რუსეთის გავლენის გასამტკიცებლათ ოსმალეთში, სპარსეთში და ავგანისტანში.

მაგრამ ბოლშევიკების პოლიტიკა სამარცხვინოთ დამარცხდა როგორც აფრიკის, ისე აზიის ქვეყნებში.

ბოლშევიკებმა ინგლისს ვერ აუჯანყეს ვერც ეგვიპტე, ვერც არაბეთი და ინდოეთი, ვერც საფრანგეთის გავლენა მოსპეს ინდო-ჩინეთში. ყველა ეს დამორჩილებული ერები თვითონ ეწევიან დღეს გამანთავისუფლებელ ბრძოლას და ბოლშევიკების ჭკუის სწავლებას არ საჭიროებენ.

ოსმალეთმა, სპარსეთმა და ავგანისტანმა მთელი ამ ხნის განმავლობაში თვითონ თუ ისარგებლეს რუსეთის მატერიალური და მორალური დახმარებით, თორემ იქ დღეს ჩვენ საბჭოთა რეჟიმის გავლენას ვერსად ვერ ვხედავთ.

დარჩა ერთათ ერთი ქვეყანა, ჩინეთი, სადაც რამოდენიმე წლის განმავლობაში მართლა ჩნდა ბოლშევიკების გავლენა.

ბოლშევიკებმა ისარგებლეს ჩინეთში არსებულ სამოქალაქო ომით და ჩაერიენ ჩინეთის შინაურ საქმეებში. აძლევდენ ფულს, იარაღს, ეხმარებოდენ ხან ერთ და ხან მეორე ჩინელ გენერალს, სთესავდენ შუღლს და აღრმავებდენ წინააღმდეგობას.

იყო დრო, როცა ჩინელ კომუნისტურ პარტიაზე, ჩინელ წითელ არმიაზე ევროპაში ბევრს ლაპარაკობდენ. ჩინეთის ყრუ და მივარდნილ ადგილებში ბოლშევიკების თაოსნობით საბჭოებიც კი დაარსდა.

რით დამთავრდა ბოლშევიკების მთელი ეს ავანტიურა?

მათი პოლიტიკის სრული გაკოტრებით.

სამოქალაქო ომის პროცესში ერთი მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში მოღლილნი და მოქანცულნი, ბოლშევიკების ინტრიგებში თავიდან ფეხებამდე გახვეული ჩინელი გენერლები დაბოლოს გონს მოვიდენ. მათ ნათლათ დაინახეს ბოლშევიკების ცბიერება და მუხანათობა და მათი საშიშროების წინაშე გაერთიანდენ. ასობით გააგდებინეს თავი ჩინელ კომუნისტებს და არა ერთი და ორი ბოლშევიკების აგენტი ჩააგდეს ციხეში. ანტირუსული სულისკვეთება ჩინეთში თანდათან გაძლიერდა.

1929 წელს ჩინელებმა გამოყარეს ყველა რუსი მოსამსახურენი აღმოსვლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობიდან. მართალია, ეს რკინის გზა რუსეთის ფულით იყო აშენებული, მაგრამ ის ჩინეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და ბოლშევიკურ რევოლიუციის შემდეგ რკინის გზის საქმეებს შეთანხმებით ჩინელები და რუსები ერთათ განაგებდენ.

ჩინელების მოქმედებით მოსკოვი შეურაცყოფილი დარჩა და მან რკინის გზის მოსამსახურეების უკან დაბრუნება და «სტატუტ ქვო»-ს აღდგნა მოითხოვა. ამის სისრულეში მოსაყვანათ კი გენერალ ბლიუხერის თაოსნობით მან მანჯურიაში საბჭოთა ჯარები გაგზავნა. ამ კონფლიქტის მოსაგვარებლათ ერთა ლიგის ჩარევაზე ლიტვინოვმა უარი განაცხადა, ჩვენი ნაციონალური ინტერესების დაცვა ჩინეთთან ჩვენი პირდაპირი მოლაპარაკებით უნდა მოხდესო. შემდეგ საბჭოთა აეროპლანებიდან ჩინელ სოფლებს ყუმბარები დაუშინეს და ამ რიგათ ჩინეთიც იძულებული შეიქნა მოსკოვის პირობები მიეღო.

წინეთ რუსეთი ჩინეთს ეფიცებოდა, რომ ვითომც ის მის დახმარებას და იმპერიალისტური ქვეყნების კლანჭებიდან მის განთავისუფლებას ცთილობდა. ახლა კი მისი იმპერიალისტური სახე ყველამ ნათლად დაინახა და ის თვითონ შეიქნა უმთავრესი მიზეზი ჩინეთის დასუსტებისა.

ჩინეთის ასეთი სისუსტით მეტათ მოხერხებულათ ისარგებლა იაპონიამ. ის შეიჭრა მანჯურიაში, დაიკავა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა, დაიწყო იქ სტრატეგიული ადგილების გამაგრება და გამოაცხადა მანჯურიის «დამოუკიდებლობა».

საერთოთ, დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა იაპონიამ ხელსაყრელათ სცნო მისი იმპერიალისტური პოლიტიკის გასატარებლათ შორეულ აღმოსავლეთში.

და მართლაც, ამერიკა, რომელსაც დიდი ინტერესები აქვს შორეულ აღმოსავლეთში, მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის და იქ ჯერ კიდევ არ გაგონილ უმუშევრობას აქვს ადგალი. ასეთივე მგომარეობაშია დღეს ევროპის სეხელმწიფოების უმრავლესობა. ამავე დროს ერთა ლიგაში გაჩაღებულია დიდ სახელმწიფოთა შორის შუღლი და ქიშპობა, რაც ამ საერთაშორისო ორგანოს უძლურათ ხდის.

საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაც ხომ მეტად ცუდი და გართულებულია, აქაც საშინელი ეკონომიური კრიზისია. კოლხოზური პოლიტიკა სავსებით გაკოტრდა და მთელი გლეხობა უკმაყოფილოა. მუშები დროზე ხელფას ვერ იღებენ და გაფიცვები ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. მიუმატეთ ყოველივე ამას დუხჭირი ბედი საბჭოთა რუსეთის კავშირში მომწყვდეული დამონებული ერებისა, რომლებიც რუსეთისაგან განთავისუფლებას დღიდან დღეზე მოელიან და თქვენ მიიღებთ რუსეთის დღევანდელ მდგომარეობის სურათს.

მართალია, საბჭოთა რუსეთი დღეს სუსტია და ომის წარმოება მას არ შეუძლია, მაგრამ ომისთვის კი გაფაციცებით ემზადება. კომინტერნი თავის იმედებს საერთაშორისო ომზე ამყარებს. ბოლშევიკების სამოქალაქო ომის და მსოფლიო რევოლიუციის ტაქტიკაც ამას მოითხოვს.

იაპონიამ, რომელსაც რუსეთის შესახებ ნამდვილი და დაწვრილებითი ცნობები მოეპოვება, ყველაფერი ეს კარგათ იცის. იაპონიაც თავის მხრივ ცდილობს რუსეთს მომზადების და მომაგრების დრო არ მისცეს და რაც შეიძლება მალე მას ყელში წვდეს.

ბოლშევიკები, რომელნიც კოლონიალურ ერების განთავისუფლებაზე და ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებებზე ცინიკურათ ამდენს ლაყბობენ, დღეს ისე დაშინებული არიან, რომ იაპონიის ჩინეთში შემოსვლის დღეებში მათ კრინტიც არ დაუძრავთ და არავითარი პროტესტი არ განუცხადებიათ.

რუსეთს დღეს არა თუ არ აინტერესებს ჩინეთის ხალხის ბედი და ჩინეთის ტერიტორიალური მთლიანობა, არამედ ის «განსაკუთრებული პირობების» მობოდიშებით იაპონიის ჯარის სარდლობას ნებას აძლევს ისარგებლოს ჯარების გადასაყვან-გადმოსაყვანათ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზით და ამავე დროს მიკადოს მთავრობას მეგობრულ გრძნობებს უცხადებს.

მაგრამ სწორეთ ეს «განსაკუთრებული პირობები» გვაიძულებენო აცხადებენ იაპონელები, [illegible] ბი რუსეთის საზღვრებისაკენ [illegible] ბულ «ანარქიისაგან და ცარცვაგლეჯისაგან იაპონელი მოქალაქენი დავიცვათო».

ეხლა კი უკვე ბოლშევიკური პრესაც ალაპარაკდა და იაპონიის «სამხედრო წრეების» ანტისაბჭოებრივ გეგმებზე და ჩუმ ზრახვებზე გაჰკივის.

მოსკოვმა ჩინეთში ინტრიგების მოწყობით და იქ სამოქალაქო ომის გაღრმავებით ძალზე შეასუსტა ის. საბჭოთა რუსეთმა თვით მოუმზადა ნიადაგი და ბევრ რამეში დიდი სამსახური გაუწია იაპონიას ჩინეთის ტერიტორიაზე შემოსასევათ. ეხლა კი იაპონია, ჩინეთის გზით, თვით რუსეთს მიადგა კარებზე.

მართალია, ამ მომენტში იაპონიას საგრძნობლათ გართულებული აქვს საქმეები მანჯურიაში და შანხაიში და ისე სწრაფად ვერ აღწევს თავის მიზნებს, როგორც ეს მას ეგონა. წინააღმდეგ, შესაძლებელია, რომ იაპონიის შინაური თუ საგარეო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდეს, ამით ისარგებლოს საბჭოთა რუსეთმა, გაიმეოროს 1929 წლის მისი ავანტიურა და მანჯურიაში შეიჭრას. ასეა თუ ისე რუსეთსა და იაპონიის შორის კონფლიქტის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ გამქრალა.

რუსეთსა და იაპონიის შორის კონფლიქტის მოლოდინში რუსული ემიგრანტული პრესაც ახმაურდა.

რუსი მემარჯვენეები და მათი ორგანო «ვოზროჟდენიე» იაპონოფილურ მიდრეკილებას იჩენენ და ბოლშევიკების დამარცხების აშკარა მომხრენი არიან. მათი მიზანია უცხო იტერვენციის საშუალებით მოსკოვში ბოლშევიკების დიქტატურის მაგივრათ თავიანთი დიქტატურა გამოაცხადონ. ერთ დიქტატურას სურს მეორე დიქტატურა შესცვალოს, ორივენი კი გაშმაგებით რუსეთში მომწყვდეულ ჩაგრულ ერების განთავისუფლებას ებრძვიან.

მილიუკოვი და მისი მიმდევრები სასტიკათ ილაშქრებენ რუს მემარჯვენეების იაპონოფილობის წინააღმდეგ და მათ პატრიოტულ გრძნობების უქონლობას უკიჟინებენ. ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალები, მხარი უნდა დაუჭიროთ თვით ბოლშევიკურ ხელისუფლებასაც კი და ენერგიულათ დავიცვათ იაპონიის წინააღმდეგ რუსეთის ტერიტორიის მთლიანობაო.

კერენსკიც მილიუკოვთან ერთათ ფიქრობს, რომ იაპონიას სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს და მას რუსეთის ტერიტორიის არც ერთი გოჯი არ დაეთმოს. ერთსაც და მეორესაც ეშინია, რომ შორეულ აღმოსავლეთით რუსეთის ტერიტორიის ნაწილის დაკარგვას არ მოყვეს შიდა რუსეთის რღვევა დანაწილება. მხოლოთ კერენსკის აზრით ბოლშევიკური მთავრობა ვერ გამოდგება თავდაცვის საქმის წარმოებისათვის. წინააღმდეგ, ის ფიქრობს, რომ ბოლშევიკები ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ ყოველნაირ ზომებს მიმართვენ და ამისათვის არც ახალ ბრესტლიტოვსკს არ დაერიდებიანო.

«სოციალისტური ვესტნიკი» გადაჭრით ზავის მომხრეა. დღეს ბოლშევიკები, ამბობს ის, სუსტნი არიან; მათ არ შეუძლიათ მტერს წინააღმდეგობა გაუწიონ და იარაღით ხელში თავისი ტერიტორია დაიცვან; თუ ომი დაიწყო, მას არა თუ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ნაწილის დაკარგვა, არამედ აუცილებლათ ბოლშევიკების მთავრობის დამარ-

---

ბოლშევიკური სოციალიზმი გურიაში

(წერილი საქართველოდან)

1. კოლექტივიზაცია.

ბოლშევიკები ირწმუნებიან, რომ გურიაში კოლექტივიზაცია ძალით არ ჩამოყალიბებულა. სინამდვილეში კი ისინი ასე აცხადებდენ: «ვისაც გინდათ მოდით, ვისაც არა ნუ მოდიხართ, მხოლოდ იცოდეთ—ვინც კოლექტივში არ შევა, ის ვერ მიიღებს მარილს, ნავთს, ასანთს და ვერავითარ სხვა საქონელს; მათი შვილები არ იქნებიან დაშვებული სკოლაში, ვერ მიიღებენ ვერავითარ მოწმობას, კოლექტივის გარეშე დარჩენილთ ჩამოერთმევათ ის მიწები, რომელიც აქამდე მათ კერძო საკუთრებას შეადგენდა». კოლექტივების ჩამოყალიბების ზემოდ ნაჩვენები ხერხით გურიის ყველა კუთხეებში ერთნაირად გატარდა, საილუსტრაციოთ მოვიყვანთ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს: ს. ლიხაურში ადგილობრივმა კომუნისტმა ალ. ურუშაძემ, რომელსაც დავალებული ქონდა კოლექტივების ჩამოყალიბება, სიტყვა-სიტყვით ზემოთ მოყვანილი ფრაზებით მიმართა საგანგებოდ თავმოყრილ გლეხობას. როდესაც ასეთი მიმართვის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა ერთმა გლეხმა, მომხსენებელმა ის კულაკის აშკარა აგენტად გამოაცხადა და დაპატიმრების საფრთხის წინაშე დააყენა. ამ ფაქტით «დარწმუნებულ» გლეხობას საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი დაეკარგა. ამგვარი მეთოდების შემწეობით გურული გლეხობის 90 პროც. კოლმეურნეობაში იქნა შერეკილი. გლეხმა თავისი საწარმოვო საშვალებები ხელისუფლებას ჩააბარა, ხოლო მას დაუტევეს ეზო და შინაური პირუტყვები—გარდა ხარებისა.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე განკარგულება შეიცვალა: ეზოდან მხოლოდ ნახევარი ქცევა დაუტოვეს და გამოაცხადეს თითქოს ამას თვით გლეხები დაჟინებით მოითხოვდენ.

მაშასადამე, გლეხობის დამოუკიდებელი ცხოვრების მთავარი საშვალებები მთავრობამ მიისაკუთრა.

კოლექტივების ჩამოყალიბების დღიდან, გლეხს არავინ ეკითხება, თუ რა დაამუშაოს და როგორ იმუშაოს. სიმინდი, რომელიც გურული გლეხის მთავარ საარსებო წყაროს შეადგენდა, მთავრობის განკარგულებით ძალიან ცოტა ითესება. სიმინდის მეურნეობა ისპობა და მის ადგილას იჭერს ჩაის მცენარე, სოია და სხვ. ამ ზომით გლეხობა ხელისუფლებისაგან დამოკიდებული გახადეს და ყოველ ვისუფალ დროს, თუ კი ასეთს იშოვნის გლეხი ტომრით და განცხადებით დგას კოლექტივის გამგეობის წინაშე და თხოულობს საარსებო ლუკმას მშიერი ოჯახის გამოსაკვებათ. მაგრამ ის უმეტეს შემთხვევაში ხელცარიელი ბრუნდება უკან. ამ საშინელ მდგომარეობაში გლეხი ასეთ საშვალებას მიმართავს: მთავრობის ნება დაურთველად, მალულად სთესავს მივარდნილ ადგილებში სიმინდს, მაგრამ თუ გაუგეს სასტიკად სჯიან. მაგ. ს. ნიგოითში გლეხებს დაეთესათ უნებართვოდ. როცა ეს ცნობა ლანჩხუთის ჩეკაში მივიდა, სიმინდი უკვე ამოსული იყო; მყისვე გაგზავნილ იქნა ჩეკისტები, გამოარკვიეს თუ ვინ დათესა სიმინდი, დამთესავ გლეხებს გადაახნევინეს ამოსული ყანა და მის მაგიერ დაათესიეს სოია.

როგორც ზევით ვთქვით, გლეხი სავსებით მიჯაჭვულია ხელისუფლებაზე; მას აიძულებენ განუწყვეტლივ იშრომოს. ის შრომობს, მაგრამ შრომობს მონურად, ღირებულებასაც ხომ ნაკლებს ქმნის. მან გარკვევით იცის, რომ სხვისთვის მუშაობს და მისი შრომის ნაყოფიერება დღითი-დღე ეცემა; რასაც წინეთ ერთი კაცი აკეთებდა, დღეს 5-6 კაცი უნდება. როგორც კი გლეხებს მოსცილდებიან მთავრობის აგენტები, დასხდებიან და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გაჭირვებას. სწორედ ამის საწინააღმდეგოთ იყო შემოღებული ე. წ. სანარდო სისტემა.

პირველ ხანებში კოლმეურნე გლეხების ერთი ნაწილი წამოეგო ამ ანკესს; ისინი დაუზოგავად ხარჯავდენ ენერგიას და საღამოს წელმოწყვეტილი ბრუნდებოდენ სახლში, მაგრამ ჩქარა შეიგნეს ამ მეთოდის გამანადგურებელი ხასიათი. ის ბრიგადა, რომელიც წინასწარ მოცემულ დროში შეასრულებდა გარკვეულ ნორმას, მთავრობის აგენტად ცხადდებოდა და მათ წინააღმდეგ სხვები ერთგვარ ფრთხილ ბოიკოტსაც მიმართავდენ. ასე მოიქცენ სოფ. შუხუთის გლეხები, მათ სხვებიც აჰყვენ და მოვლენამ თითქმის მასიური ხასიათი მიიღო. ხელისუფლებამ მიმართა რეპრესიებს, დააპატიმრეს «შენიშნულები», მაგრამ შრომის ნაყოფიერება იგივე დარჩა, რაც სანარდო სისტემის შემოღებამდე იყო.

ამ მოვლენას აშკარად გვისურათებს თვით კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვის წიგნაკები. აი მაგალ., სოფელ ძიმითის კოლმეურნეობაში გლეხს, რომელსაც ნამუშევარი აქვს 50 დღე, ეწერება 15 ან, უკეთეს შემთხვევაში, 17-18 «შრომა-დღე». სამუშაო დღეთ ითვლება ფაქტიური მუშაობის დღე: დილიდან საღამომდე; შრომა-დღე კი არის მიღებული ნორმა შრომისა, რომლითაც განიზომება ამა თუ იმ პირის ნამუშევარი,—ის რაოდენობა შრომისა, რომელიც შესრულებულ უნდა იქნას ერთი დღის განმავლობაში. მაგ., 1 მუშამ უნდა აიღოს ერთ დღეში მეოთხედი ჰექტ. სოიის მოსავალი; ერთმეოთხედ ჰექტარ სოიას აღებას უნდება 4 მუშა. მაშასადამე ერთ შრომა-დღეს ერთი მუშა შესრულებს 4 დღის განმავლობაში. ან კიდევ, 1 მუშამ ერთ დღეს უნდა გასწმინდოს 500 კვ. საჟენი ჩაის ფართობი, ეს არის ერთი დღის შრომის ნორმა. ფაქტიურად აღნიშნულ ფართობს მუშა სამ დღეს უნდება, ეს სამი დღე კი ერთ შრომა დღეთ ეწერება მას.

შრომის ნორმები შედგენილია ისე, რომ მისი შესრულება ყოვლად შეუძლებელია: ნორმები გამომუშავებულია კაბინეტებში და არ უწევს ანგარიშს მშრომელის ფიზიკურ შესაძლებლობას; გარდა ამისა საწარმოო იარაღები სრულიად პრიმიტიულია და გაცვეთილი, ახალი არ იშოვება. გლეხი მუშაობს სრულიად ფეხ-შიშველი და ნახევრად ტიტველი, იკვებება მარტო მჭადით ან ყოვლად უვარგისი პურით და ხშირად ისიც არა აქვს. ეს უკანასკნელი გარემოებაც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად დაცემას.

როგორ უნაზღაურებენ ბოლშევიკები გლეხს ამ მძიმე და აუტანელ შრომას?

ჩაის პლანტაციებში გასული წლის ნამუშევარში გლეხმა მხოლოდ წელს მიიღო ერთ შრომა დღეში 1 მანეთი. სრულად ესეც არ მიუციათ. რადგან ამ მცირე თანხიდან გამოურიცხეს ობლიგაციების ფული, საწევრო და სხვ. და სხვ. წრევანდელ ნამუშევარში გლეხებს სულ არაფერი მიუღიათ, ხელისუფლებამ გამოუცხადა მათ, რომ ნამუშევარში მხოლოდ ობლიგაციებს მიიღებენ.

პურის გაცემის ნორმის თანახმად სოფ. ჯუმათის კოლმეურნეობა ერთ შრომა დღეში გლეხს აძლევს, 3 მან. და 60 კაპ. კვალობაზე. ნახევარ გირვანქა ხორბალს. სოფ. ძიმითის კოლმეურნეობა 3 შრომა დღეზე იძლევა ზემოდ აღნიშნული ფასის მიხედვით ორნახევარ გირ. ხორბალს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1 შრომა დღის გამომუშავებას გლეხი 3-4 დღეს ანდომებს, ხოლო თვითეულ შრომა-დღეში კი სასყიდლად აძლევენ ნახევარ ან სამმეოთხედ გირვანქა ხორბალს. ცხადია, გლეხის ოჯახის მოთხოვნილებას ეს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს, კერძო ბაზარი კი მისთვის ხელმიუწდომელია, ამიტომ ის შრომა-დღეების გაზრდისაა და მეტი ხორბალის შეძენის მიზნით სისტემატიურად ამუშავებს ქალებსა და ბავშვებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გლეხის დამოუკიდებელი ცხოვრების სრულიად მოსასპობად, მთავრობა კრძალავს სიმინდის და ღომის თესვას და გლეხობას ავალებს ჩაისა და სოიას კულტურებზე მუშაობას. ამის მიზეზით გასულ წელს სიმინდის მოსავალი ისე მცირე იყო, რომ ერთიმეორეზე ორ თვეს ძლივს ეყო გურიის მოსახლეობას მოსავლის განაწილების შემდეგ ასეთი სურათი მივიღეთ: სოფ. მაღალჯუმათის კოლმეურნეობის წევრების ერთ შრომა დღეზე შეხვდათ 6 გირ. სიმინდი. საშუალოდ გლეხს შესრულებული აქვს 100 შრომა დღე (ოჯახის სხვა წევრების შრომის ჩათვლით), რაშიც ის ღებულობს 600 გირ., ე. ი. 15 ფუთს სიმინდს. სოფ. ძიმითში კი კოლმეურნეობის წევრებს შრომა დღეზე შეხვდათ 4 გირ. სიმინდი; ამ შემთხვევაში თვითეულ ოჯახს საშუალოდ უწევს 10 ფუთი სიმინდი. ასეთივე სურათი გვაქვს გურიის სხვა სოფლებშიაც.

მოსავლის ასეთი მდგომარეობა თავისებურ დაღს ასვამს ბაზარსაც. სიმინდი გასაყიდათ გამოაქვს ინდივიდუალურ მეურნეებს, ხოლო ესენი 10 პროც. შეადგენენ. ამათგან ნაწილს საწარმოო საშუალებები ჩამორთმეული აქვს. სიმინდის ფასი იზრდება 5-6 ჯერ. მოსალოდნელია უფრო მეტად გაზრდა.

თუ გასულ წელს გლეხს კიდევ შეეძლო 1 ფუთ სიმინდში 30 მანეთის გადახდა, ამის საშუალებას ის ოჯახის განადგურებით პოულობდა: ჰყიდდა მარჩენალ ძროხას, ღორს, შინაურ ფრინველებს და სხვ., რაც კი გადარჩა დამზადების შემდეგ. წელს ეს საშუალებები უკვე გამოლეულია და გლეხი ბოლშევიკების მიერ გადმოგდებული ლუკმის ანაბარა რჩება.

2. მესაქონლეობა.

გლეხის ეკონომიურ ძალას, გარდა ხორბლეულისა, შინაური საქონელი და ფრინველები შეადგენს. ეს არის ოჯახის ის საშუალებები, რომელნიც მისი დამოუკიდებლობის საფუძველს შეადგენს. ბოლშევიკებმა მშვენივრად გაიგეს თუ რა ძალას წარმოადგენდა გლეხისათვის შინაური საქონელ-ფრინველები და შექმნეს ისეთი პირობები, რომ გლეხს ეს უკანასკნელი საშუალებაც მოესპო. შინაური ფრინველებისა და პირუტყვების გასანადგურებლათ გამოყენებულია ე. წ. ხორცის დამზადების კამპანიები, რაც ტარდება შემდეგი სახით: რაიონებსს ცენტრიდან მოსდით ხორცის დამზადების კვარტალური გეგმები, ხოლო რაიონები გეგმას სოფლებზე ანაწილებს, ე. ი. სოფელს შეაწერს განსაზღვრული რაოდენობის ხორცს. ადგილობრივი კომუჯრედი და საბჭოკი ამუშავებს პირდაპირ სახელობითი სიას. თუ რომელმა გლეხმა რამდენი ხორცი უნდა ჩააბაროს მთავრობას. აქ თითქოს გამოყენებულია ნებაყოფლობითი პრინციპი: მოწვეულ კრებაზე გამოვა რომელიმე წინასწარ მოსყიდული და მომზადებული გლეხი, შეაქვს დამზადების ფონდში თავისი წილი და იწვევს სხვებს. გამოწვევის მიუღებლობა მიჩნეულია, როგორც კონტრევოლიუციონური დანაშაული. მაგრამ ეს პროვოკაციული ანკესი ხშირად ვერ აღწევს შედეგს; მაშინ მიმართავენ პირდაპირ შეწერის მეთოდს. აქ გზა უკვე მოჭრილია და გლეხი იძულებულია ჩააბაროს მთავრობას შეწერილი რაოდენობის საქონელი იმ ფასებში, რაც წინასწარ დადგენილია მთავრობის მიერ. საქონლის ხორცს ღებულობენ ფუთს 6-7 მანეთამდე, ხორცის ხარისხის მიხედვით, მაშინ როდესაც კერძო ბაზარზე ფუთი ხორცი ღირს 60 მანეთზე მეტი თუ კი იშოვე, ხოლო თფილისში 1 კილო ხორცი 6 მანეთი ღირს. ძალიან ხშირად გლეხი მთავრობის მიერ დადგენილ ფასსაც ვერ ღებულობს.

შინაური საქონელ-ფრინველების მოვლა-მოშენებისთვის აუცილებელი იყო ის ეზო, რომელშიაც გლეხს თავისი კარ-მიდამო ჰქონდა გამართული. როგორც ზევით აღვნიშნეთ, გლეხს ეზო ნახევარ ქცევაზე

ბიბლიოთეკა

ცხება, რუსეთის დანაწილება და კონტრრევოლიუცია მოყვება. ამიტომ ჩვენ, «რაც არ უნდა დაგვიჯდეს» მომხრე ვართ ზავის და ვებრძვით ომს, რომელიც კაცობრიობას საშინელი კატასტროფით ემუქრებაო.

«სოციალისტური ვესტნიკი» წინააღმდეგია არა მხოლოთ ომის და ომში ბოლშევიკური მთავრობის დამარცხების, არამედ ის წინააღმდეგია აგრეთვე ბოლშევიკური მთავრობის რევოლიუციონური გზით გადაგდების.

რომ ომი საშინელება და დიდი ბოროტებაა, ეს ყველამ ვიცით. მაგრამ მთავარი საკითხია, თუ თვით ბოლშევიკური მთავრობის არსებობა მუდმივათ არ იწვევს ომის საშიშროებას.

ამაზე გარკვეულ პასუხს თვით ბოლშევიკური მთავრობის არსებობის ისტორია იძლევა.

ბოლშევიკებმა არ აწარმოეს თავდასხმითი ომი პოლონეთის წინააღმდეგ 1920 წელში? მათ არ დაიპყრეს კავკასიის ქვეყნები? იაპონიის დღევანდელ იმპერიალისტურ მოქმედებას, როგორც ზემოთ ვამბობდით, თვითონ ბოლშევიკებმა არ მოუმზადეს ნიადაგი?

თუ საბჭოთა რუსეთმა დააასრულა ის საომარი მზადება, რომელსაც დღეს ასე გაფაციცებით ეწევა, ამ შემთხვევაში არ იქნება ის საშიში როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით მის მეზობლათ მყოფ სახელმწიფოებისათვის? და განა დღემდი ჩვენ «სოციალუსტური ვესტნიკი» მუდამ ამის შესახებ არ გველაპარაკებოდა?

ერთი უმთავრეს საშუალებათაგანი, რომელიც ომის საშინელებას ერთნაირათ თავიდან აგვაცდენდა, არის—საბჭოთა რეჟიმის მოსპობა, მოსკოვის მთავრობის გადაგდება და მისი თავიდან მოცილებაა.

«სოციალისტური ვესტნიკი» წინააღმდეგია ბოლშევიკური მთავრობის ძალით გადაგდების. მისი აზრით საუკეთესო ტაქტიკაა—ბოლშევიკური დიქტატურა რუსეთის მუშათა კლასის ზეგავლენით იძულებული შეიქნას დათმობები გააკეთოს და დემოკრატიულ ევოლიუციის გზაზე შედგეს.

ეს კი ისტორიული ნონსენსია; დღემდის არავის უნახავს და გაუგონია, რომ ტირანებს ტირანიაზე თვით ეთქვათ უარი და ძალაუფლება სხვისთვის დაეთმოთ.

თუ საბჭოთა რუსეთის დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს სურთ ბევრ სხვა უბედურებათა შორის თავიდან აიცილონ ომის უბედურებაც, მათ ეხლავე უნდა შეუდგენ რუსეთის დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალების მობილიზაციას, მის დარაზმვას და ბოლშევიკური მთავრობის ჩამოსაგდებათ მის ხელმძღვანელობას.

დემოკრატიულ რუსეთმა თავის დროშაზე უნდა დააწეროს ერთა სრული თვითგამორკვევის უფლება და თავისუფლება. საბჭოთა კავშირის ფარგლებში მომწყვდეულ ერების განთავისუფლება და მათ შორის კეთილმეზობლური განწყობილების დამყარება იქნება ერთი უდიდესი ფაქტორთაგანი საერთაშორისო მშვიდობიანობის და წონასწორობის.

პ. ჩ.

◆

გამდგართა საქმიანობა

მოსკოვის დიდი ხნის ნატვრა ჩვენი ემიგრაციის დარღვევის და მისი შიგნიდან აფეთქების უკვე პოულობს აგენტებს და ამსრულებელთ. და თუ ეს მუშაობა ამდენ ხანს ჩუმათ, სიბნელეში წარმოებდა, დღეს ის სააშკარაოზე გამოვიდა და საზოგადოებას მოევლინა როგორც უკანასკნელი სიტყვა ქართული პატრიოტიზმის. ამ ფირმით დაიწყეს კამპანია ყველა ჩვენი მებრძოლი ორგანოების წინააღმდეგ, ჩვენი საზღვარ-გარეთელი წარმომადგენლობის და დარაზმულობის დასანგრევათ და ქართული მთლიანი პოლიტიკის მოსასპობათ. ამის საბუთები არა ერთი და ორია, სხვადასხვა ადგილას წარდგენილი «დანოსები» და დაბეზღებები ცნობილია, მაგრამ თუ ეს ვაჟბატონები ისე გათამამდებოდენ, რომ ბეჭდვითი ორგანოშიაც გამოამზეურებდენ თავის ბნელ ზრახვებს—ეს კი აღარ გვეგონა. წაიკითხეთ ფრანგული ჟურნალი «La Croisade» (ამ წლის პირველი ნომერი) და გაიგებთ რა ასულდგმულებს ამ ბნელ ძალებს, საითკენ მიდის მათი სავალი გზანი. აქ ვინმე ქართველი ნ. ს-ის ინიციალით მოუთხრობს ფრანგებს გვარიან ხეპრულათ ჩვენს ახლო წარსულს, აბრალებს ქართულ მენშევიზმს და მენშევიკურ ხელისუფლებას გერმანოფილობას, ანარქიის დამყარებას, რისაგან ქვეყანა უხსნია თურმე მისი მონაწილეობით მოწყობილ «მოხალისეთა რაზმს», რომელიც ყოფილა «ერთათ ერთი სამხედრო ორგანიზაცია». მთავრობას «ვერ შეუქნია არა თუ ჯარი, უბრალო მილიციაც ვერ მოუკრებია. მან ვერ შესძლო პოლიციის მოწყობაც კი თავის და მოქალაქეთა დასაცავათ». მაგრამ დახეთ ამ წყეულ მთავრობას, ეს ყოვლად მხსნელი «მოხალისეთა რაზმი» დაუშლია და მის ალაგას გვარდია დაუარსებია. მერმე პატარა ჯარიც შეუქნია, მაგრამ რა გამოვიდა «როცა ჩვენ მთელ ძალას ვახმარდით საგარეო დაცვას», მენშევიკები სცემდენ «დეკრეტებს ქონების ნაციონალიზაციისას და ეწეოდენ ქურდობას იარაღით ხელში». შემოგვესია მოსკოვის ჯარები, «მთავრობამ გამოაცხადა, რომ ქართველ პროლეტარიატს არ აქვს არავითარი მიზეზი შეებრძოლოს საბჭოთა პროლეტარიატს და აღიარა ხალხთა ძმობა. მიუხედავათ ამ პაციფიური განცხადებისა, ჯარმა მაინც არ დაანება თავი ბრძოლას, მიუხედავათ იმისა, რომ მას არ მისცეს არც დამხმარე რაზმები, არც სურსათი; ის სავსებით დამარცხდა სექტემბრის ბრძოლებში 1920 წ.» მოსკოვი გაბატონდა. ამას უწოდებს ავტორი «ჭეშმარიტების აღდგენას». «საქართველოს აღმოაჩნდა ერთი ზედმეტი მტერი, განაგრძობს ის, ეს არის მენშევიკური სიცრუე, რამაც ფეხი მოიდგა ევროპის ერებში და სადაც ის იღებს ოფიციალურ ხასიათს და ითხოვს მოქალაქობრივ უფლებას. ეს სისაძაგლე ჩვენ გვაყენებს უმაღლეს შეურაცხყოფას».

გააბრიაბრუა რა ასე დამოუკიდებელი საქართველო და მისი მთავრობა, ბოლოს მისდგა მის პარიზის ლეგაციას. აი როგორ იხსენიებს ის ამ ჩვენი ერის სუვერენობის ემბლემას:

«საფრანგეთში, თქვენმა მთავრობამ ნება მისცა დედაქალაქის შუაგულში ორი ხორცმეტი არსებულიყო—საბჭოთა ლეგაცია, სადაც თავმოყრილია კომუნისტური კონსპირაციის ძაფები, და ბუნაგი საქართველოს ვითომდა ლეგაციის. ეს უკანასკნელი დაწესებულება არის თავშესაფარი სიცრუის. აი აქ დაბინავდა ნაშთი იმ სოციალისტურ-მარქსისტული მთავრობისა, რომელიც გაბატონდა ჩვენში გერმანელების დახმარებით... საჭიროა საფრანგეთის საზოგადოებამ იცოდეს ამ დაწესებულების ფასი. მას არავითარი უფლება არ აქვს წარმოადგენდეს საქართველოს. ის წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულობას სამშობლოს წინაშე. ლოღიკური იქნებოდა ეს გველების ბუდე ყოფილიყო ბერლინში, რადგანაც ის შეიცავს მხოლოდ მტრებს საფრანგეთისას და მომხრეთ გერმანელებისას. მიუხედავათ ამისა ეს კამარილია ყოველთვის იყო კედორსეის (საგარეო სამინისტრო) მფარველობაში და მას ქონდა ბრიანის პიროვნული სიმპატიები. საფრანგეთის მეგობარ-ქართველებისათვის ეს დამოკიდებულება თქვენი საგარეო სამინისტროსი იყო ნამდვილი სკანდალი».

აი ავტორის გულის ნადები. და ეს ვაჟბატონი მარტო არის? არა, ის ლაპარაკობს «ნაციონალისტების» სახელით, იმ ჯგუფის რომელმაც თავის მიზნათ დაისახა ბრძოლა არა ბოლშევიკებთან, არამედ მენშევიკებთან, გატეხა იმ მთავარი ხერხემლის, რომელზედაც დაყრდნობილია საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლა. მოსკოვის გრძელი ხელი ახლა «პატრიოტიზმს» ამოეფარა და განაგრძობს თავის მუშაობას.

⁂

გამდგართა ამ ველურ ჯგუფს მისდევს მეორე ფენა ასეთივე გამდგარებისა, პირველზე ნაკლებათ რეგვენი, მაგრამ მისი მომბოდიშებელი და განიდან დამხმარე. ესენი ქართულათაც სწერენ, თუმცა არა ისე პირდაპირ ხეპრულათ, როგორც ფრანგულათ, სადაც გამკითხავი და ჭკუის მომკითხავი არავინ ყავთ. ბ. მიხ. წერეთელი რასაკვირელია ქართველს ვერ ეტყვის იმას რასაც «კრუაზადის» მკითხველთ ეუბნებიან, მთავრობა, საელჩო ყაჩაღთა ბრბოაო. მისი აზრით საელჩო უნდა იყოს, მაგრამ «ისეთი რომ იქ ყოველი ქართველი პოულობდეს მართლაც საქართველოს ნაკვეთს, შველას, დახმარებას, დაცვას» და სხ., რასაც თურმე არსებული საელჩო არ სჩადის. აი მიხ. წერეთლის და «კრუაზადის» საელჩო როცა დაარსდება—ეს კი იქნება საქართველოს ნამდვილი წარმომადგენლობა! გახდეს რა ასე საელჩოს საკითხი პოლემიკის და შეტევის საგნათ, რასაკვირელია ამ ვაჟბატონთ სისხლის სამართლის დამნაშავეც თავის მფარველობაში აეყვანათ და ჭანუყვაძის დაგვიანებულ დამცველათ გამოსულიყვენ. იმავე მიხ. წერეთელს ახლა ძალიან დასჭირებია ჭანუყვაძის გათეთრება და ოფლს ღვრის იმის დასამტკიცებლათ, რომ მოსკოვი არაფერ შუაშია მის საქმეშიო. ჩვენ თურმე ცრუმოწმეები წაგვიყენებია პროცესზე. კიდევ მადლობა ღმერთს «დაინტერესებული მხარე» ლმობიერი გამომდგარა თვარა ცუდათ გათავდებოდა მათი საქმე «რომელთაც პარიზი ოზურგეთი ან ზესტაფონი გონიათ და მუქარით და მოტყუებით ფიქრობენ მოწმეებს ტყუილი ალაპარაკონ სასამართლოს წინაშე». და ასე, ეს ქართველი ფაშისტი მოსკოვის ვექილათაც გამოდის და ეპირდაპირება ფრანგ ვექილს, რომელსაც უთქვამს სასამართლოში: «ჭანუყვაძის ბოლშევიკობა ჩემი რწმენააო». ბ. წერეთლის და მისი ამქარის «რწმენა» კი სულ წინააღმდეგია, მოსკოვი არაფერ შუაშიაო, ეს დანამდვილებით სცოდნიათ მათ. ქვეყანამ იცის რომ მაგ. კუტეპოვი ბოლშევიკებმა მოიტაცეს, ეს საერთო რწმენაა. ბ. წერეთელი აქაც ალბათ საბუთებს მოითხოვს და სანამ ამას არ წარუდგენთ მანამდე მისი «რწმენა» იქნება—აქ მოსკოვი არაფერ შუაშიაო. წმინდა ბოლშევიკური [illegible] თავის დაცვისა.

საკმარისია ეს ორი მაგალითი, «კრუაზადის» და მ. წერეთლის გამოლაშქრება, რომ ითქვას: ქართველი ემიგრაცია დაავადებულია, მის საშოში შემოჭრილია სნეული ელემენტები. აქ გაჩაღებულია მუშაობა ჩვენი საქმის დასარღვევათ, ჩვენი მებრძოლი ორგანოების დასაშლელათ, ყოველივე მორალური ავტორიტეტის და ორგანიზაციული წყობის მოსაშლელათ და გასანიავებლათ. მაშინ რასაკვირელია, ბურთი და მოედანი დარჩებათ ჩვენგან გამდგართ და... მოსკოვს.

◆

მუშათა მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში

(წერილი საქართველოდან)

ჩვენც გვინდა შევეცადოთ აღვწეროთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშების მდგომარეობა. ჩვენ ვეყრდნობით და ვალაპარაკებთ ფაქტებს.

აი მუშის ნივთიერ მდგომარეობის ტიპიური სურათი: სტალინის სახელობის ორთქმავალთ შემკეთებელი ქარხნის მუშა იღებს თვიურ ხელფასს (საშვალოთ და სანარდო სისტემის სახეში მიღებით) 90 მანეთს, ხოლო მისი სამი პირისაგან შემდგარი ოჯახის თვიური ხარჯი უდრის 168 მანეთს; დეფიციტი 78 მანეთი. რკინის გზის ხაზის მუშა იღებს თვიურად საერთოდ 125 მანეთს, თვიური ხარჯი იმავ შემადგენლობის ოჯახისათვის—164 მან. სატრიკოტაჟო ქარხნის მუშის თვიური შემოსავალია 120 მან., ხარჯი 771 მანეთი.

როგორც დავინახეთ, წარმოებაში ხელფასის სხვადასხვაობას აქვს ადგილი, ასევე, სხვადასხვა რაოდენობის არის სამი სულისაგან შემდგარი ოჯახის თვიური ხარჯიც, რის მიზეზია ის გარემოება, რომ დახურულ სასადილოებში სხვადასხვა ფასები არსებობს. აღნიშნული ხელფასი ეძლევა მუშების 60 პროცენტს.

სანარდო სისტემა არღვევს შრომის დაცვის კანონებს. «როდესაც სანაჭრო ხელფასი არსებობს, რასაკვირველია, მუშის პარადი ინტერესები მოითხოვს, რაც შეიძლება ინტესიურათ დახარჯოს თავისი სამუშაო ძალა» (მარქსი). შვიდ საათიანი სამუშაო დღე, შრომის ინტენსივობის გადიდებით, ფაქტიურად უდრის თერთმეტ-თორმეტი საათის სამუშაო დროს საშუალო ინტესიობისას. ამიტომ «სანაჭრო ხელფასი წარმოადგენს ექსპლოტაციისა და ჩაგერის იერარქიულათ დანაწილებული სისტემის საფუძველს» (მარქსი).

მუშის მიერ დანახარჯი ენერგიის აღდგენა მოითხოვს ნორმალურ კვებას და დასვენებას; ერთიც და მეორეც მიუწდომელია ჩვენი მუშისათვის. დახურული სასდილოები და გამანაწილებლები ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას, რადგან სადილი მეტად მდარე ხარისხის არის და ისიც არა საკმაო რაოდენობით. უბედურება ის არის, რომ მუშები მაინც ვალიანდებიან ყოველ თვიურათ, თუ გინდ ყველაფერი დახურულ გამანაწილებლებში შეიძინონ.

საიდან და რა საშუალებებით ფარავენ მუშები ყოველ თვიურ დავალიანებას? ცხადია მათ რაღაც

დაუყენეს. ეს კი სრულიად სპობს პირუტყვ ფრინველების მოშენების საშუალებას. გლეხს არ შეუძლია საქონელი გადაუშვას ამ მცირე ეზოს გარეთ; ჩაის და სოიას ღობეები სრულიად ისპობა, შემოუღობავ ადგილში ჩასულ საქონელს კი იჭერენ მთავრობის მიერ დანიშნული სპეციალური მეველეები. დაჭერილ საქონელში ჯერ ახდევინებენ ჯარიმას, ხოლო შემდეგ კი ხორცის დამზადებაში მიჰყავთ. მაგალ.: სოფ. ძიმითში პირველ დაჭერილ საქონელში ჯარიმას ახდევინებენ 5 მანეთს; მეორედ თუ დაიჭირეს, 10 მანეთს. ხოლო მესამედ კი «დამზადებაში» მიჰყავთ. არ ინდობენ უღარიბეს გლეხებსაც კი. მაგ. სოფ. ძიმითის უსაწყლეს გლეხს ოქრობილა ხარატს ერთი თხა ჰყავდა, დაიჭირეს ზემოხსენებული წესით და შემდეგ დამზადებაში გაუშვეს. სოფ. ქვედა აკეთში მეველე სოლ. გოგუაძემ მოჰკლა ადგილობრივი გლეხის ღორი და თანახმად განკარგულებისა მიუტანა საბჭოს თავმჯდომარე ა. კუკულაძეს. კუკულაძემ წინადადება მისცა მკვლელს, წაეღო სახლში, გაესუფთავებია და იხევ მოეტანა ადგილობრივ სასადილოსათვის, რომლითაც მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება და ბრიგადირები სარგებლობდენ. მეველეც ასე მოიქცა. ღორის პატრონი კი დაჯარიმების შიშით არც კი გამოცხადებულა ხელისუფლებასთან.

დახურული სასადილოებით ვერც ერთი გლეხი ვერ სარგებლობს. აქ თავს იყრიან და ქეიფობენ იმ დროს, როდესაც გლეხობა ოფლში იწურება მონურ შრომაში, ადგილობრივი ხელისუფლება და ცენტრიდან მოვლინებული ბრიგადირები. სწორეთ ამაზე ამბობს მშიერი ხალხი:

«იმუშავეთ ვირებო, სჭამეთ ბრიგადირებო»-ო.

ფრინველების დამზადებაც უხვად სწარმოებს (1 კილო ქათმის ხორცში 1 მან. და40 კაპ. იძლევიან, ხოლო კერძო ბაზარზე 1 ქათამი 8 მან. იყიდება). შინაური ფრინველების მოშენების საშუალებას საკმაო ეზო და სიმინდი წარმოადგენდა. სიმინდი კი დღეს გლეხს ცოლშვილის გამოსაკვებადაც არ აქვს. ამ რიგად ყოველგვარი საშუალება მეფრინველეობის დარგშიც სავსებით შეზღუდულია.

ამგვარად, გლეხს მისი მეორე მთავარი ეკონომიური ძალა: შინაური საქონელი და ფრინველები ხელიდან გამოეცალა, მუშა საქონელი მხოლოდ გასული წლის განმავლობაში შემცირდა 33 პროცენტით. განადგურდა მეწველი საქონელი და მოსპობის კარამდეა მისული ფრინველების მოშენების საქმე.

3. კოოპერაცია.

საერთოდ კოოპერაციას საქონელი ძალიან ცოტა მოაქვს, იგი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებას. მაგრამ, როდესაც საქონელს მიიღებს კოოპერატივი, მისი განაწილება ხდება კოლმეურნეობის გამგეობისა და კომუჯრედის (ფაქტიურად) მიერ. პირველ ყოვლისა უფროსები თვით იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს, დანარჩენ საქონელს კი უნაწილებენ იმ სრულ პაიან წევრებს, რომლებიც სისტემატიურად გამოდიან კოლექტივის სამუშაოზე. მაგრამ არც ეს არის საკმარისი საჭირო საგნების მისაღებად. კოოპერაციის მიერ მოტანილ საქონლის დიდ ნაწილს მთავრობა იყენებს იმისთვის, რომ შეიძინოს «მტკიცე» ფასებში სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მოტანილ სამრეწველო საქონელს: ფეხსაცმელს ან ტანსაცმელს აძლევენ იმას, ვინც მიიყვანს კოოპერატივში გოჭებს, ქათმებს, მოზვერს ან სხვა შინაურ პირუტყვს. ზევით აღნიშნული ხორცის დამზადების კამპანია თავის გზით მიმდინარეობს, კოოპერაციის გარეშე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს გარეგნულად ნებაყოფლობით გადაცვლასთან; სინამდვილეში კი აქაც იძულებით ფაქტთან გვაქვს საქმე: წარმოებისა და ვაჭრობის მონოპოლიის გამო, სამრეწველო საქონელი მხოლოდ კოოპერაციას გააჩნია და გლეხიც იძულებულია მას ჩაუვარდეს კლანჭებში. კოოპერაციაში მიყვანილ შინაურ პროდუქტებში გლეხს აძლევენ სამრეწველო საქონელს—33-40 პროცენტამდე, დანარჩენს კი ფულად. მაგ.: ქალის უბრალო თავმოსახვევი (ცახოცი) კოოპერატივში 1 მან. ღირს; რომ გლეხმა ის შეიძინოს ამისათვის მან უნდა ჩააბაროს 3 მანეთის პროდუქტი «მტკიცე» ფასებში,—სახელდობრ: ორი ქათამი, ან ერთი გოჭი, რომლის სანაცვლოთ მიიღებს აღნიშნულ ცახოცს და 2 მანეთს ფულათ. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი პროდუქტი უნდა ჩააბაროს გლეხმა კოოპერაციას, რომ მიიღოს 8 მან. ღირებული უბრალო წუღა (ჩუსტი). აი ერთი შემთხვევა: გლეხს ი. ქ—ს უნდოდა პალტო შეეძინა. ამისთვის მიიყვანა კოოპერატივში 1 ხარი, რომელიც კერძო ბაზარზე 300 მან. გაიყიდებოდა (კოლექტივის წევრს კერძო ბაზარზე საქონლის გაყიდვის უფლება არა აქვს). როდესაც კოოპერატივის ნოქარმა იანგარიშა, გამოირკვა, რომ 1 ხარი—პალტოს ვერ ყიდულობდა.

როგორც ზევით ვთქვით, კოოპერატივში საქონლის შეძენა გლეხისათვის ძლიერ სამძიმოა. ამის გამოა, რომ ის უმნიშვნელო რაოდენობის უვარგისი საქონელი, რომელიც კოოპერაციას მოაქვს პროდუქტებზე გადასაცვლელად, თითქმის გაუსაღებელი რჩება. მაგრამ ამის გამოსასწორებლადაც ერთგვარი ხერხია გამონახული: ჩააწყობენ კალათებში ძაფებს, ფოლაქებს, ჩულქებს და სხვ., აჰკიდებენ კომკავშირელებს და ნოქრებს და ატარებენ გლეხობაში პროდუქტებზე გადასაცვლელად. ფეხშიშველი გლეხისათვის ძალიან საჭიროა ჩულქები, მაგრამ ამის შეძენის საშუალება არა აქვს. რადგან გლეხის ყოველი ნაბიჯი პარტიულის ან კომკავშირელის საშუალებით გაზომილია ჩეკის მიერ, შეშინებული თავის უკანასკნელ ლუკმასაც კი აძლევს ამ «ძალად მაცხონე» მოვაჭრეებს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ეს აშკარა ტერორი შერბილებულია იმით, რომ მოვაჭრეებათ გზავნიან მასწავლებლებს.

ზოგჯერ გლეხი იძულებულია გადაუცვალოს კოოპერატივს პროდუქტები საქონელზე. აქაც ასეთი ხერხია შემოღებული: გლეხი ვალდებულია იყიდოს განსაზღვრული რაოდენობის ასორტიმენტი. უფრო ხშირად კი ასორტიმენტი მიჰყვება პირდაპირ ფულზე გაყიდულ საქონელს; მაგ.: ნაგომრის კოოპერატივი 1 კილო შაქარს ყიდდა 3 მან. და 55 კაპ., მაგრამ შაქრის მყიდველს უნდა შეეძინა აგრეთვე უსათუოდ ხმარებიდან გასული ძველი სახელმძღვანელო წიგნები. ოზურგეთის კოოპერატივში მამაკაცის სრულიად უბრალო ჩულქს 3 მან. ყიდდენ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი შეიძენდა კბილის საწმენდ ფხვნილს, უვარგის ფანქრებს და სახატავ ფერადებს. სხვა საქონელს კი ემატებოდა ტიკინები და ბავშის სხვადასხვა სათამაშოები საკმაო ძვირ ფასებში, რა თქმა უნდა.

გასულ წელს კოოპერაციის საშუალებით მთავრობამ შეისყიდა გლეხებისაგან სიმინდი. შესყიდვა ხდებოდა პირდაპირ იძულებითი წესით: მაგ.: შეწერით, გამოწვევით და სხვა მეთოდებით. სიმინდი შეაწერეს იმ გლეხებსაც კი, რომელსაც თითონვე საყიდელი ჰქონდა. 1 ფუთ სიმინდში კოოპერაცია იძლეოდა 1 მანეთს და 20 კაპიკს. დამზადებული და საექსპორტოდ გამზადებული სიმინდის დიდი რაოდენობა გაფუჭდა. რომ ხელისუფლებას არ ეზარალებია. კოოპერაციამ ისევ გლეხებს მიაწოდა, მაგრამ ამ გაფუჭებულ სიმინდს ის «ყიდდა» 2 მან. და 50 კაპ.

კოოპერატივის წევრობა პირდაპირ სავალდებულო გახდა. საწევრო პაის იხდიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის მიხედვით. ამ გადასახადების ზრდასთან ერთად იზრდება საპაიო გადასახადიც, რაც ამ უკანასკნელ დროს 10-100-მდე გაიზარდა.

კოოპერაციის საშუალებით ხდებოდა გასულ ზაფხულში პარკის შესყიდვა. 1 ფუთ პარკში აძლევდენ 25 მანეთს მაშინ, როცა ფუთი სიმინდი 30 მან ფასობდა. 3 ფუთ პარკზე აძლევდენ კოოპერატიულ ფასებში 6 მეტრ ფართალს და 4 ცალ კოჭის ძაფს. ამიტომ ქალები უარს აცხადებდენ აბრეშუმის მოყვანაზე. მაგალ.: სოფ. ჭანიეთის ქალებმა პირდაპირ უარი განაცხადეს აბრეშუმის თესლის მიღებაზე. საქმეში ჩაერია ჩეკა, რის შიშით უკმაყოფილო ქალები ისევ დასთანხმდენ თესლის მიღებას. სოფელ აკეთში ქალებმა უარი განაცხადეს აბრეშუმის მოყვანაზე. აქაც ჩეკა ჩაერია; ლანჩხუთის პოლიტ-ბიუროდან აკეთში მივლინებული იქნა ყოფილი ჯაშუში და ეხლა ჩეკის გამომძიებელი სოკრატ წულაძე, რომელმაც სხვა მრავალ გლეხთა შორის დააპატიმრა ახალგაზდა ანდღულაძის ქალი იმ საბაბით თითქოს მისი აგიტაციის შედეგი იყოს ქალების უარი აბრეშუმის მოყვანაზე...

როგორც ხედავთ, მეურნეობის ეს დარგიც ბოლშევიკების მიერ გლეხობის დამონების საშუალებათ არის გამოყენებული.

4. საბჭოთა მეურნეობები.

გურიის საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ნასაკირალისა და ლაითურის. ლაითურისას შემოფარგლული აქვს 1800 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო ნასაკირალისას 1200 ჰექტარი. ამოდენა ფართობი დამუშავებული კი არ არის, არამედ მხოლოდ შემოღობილია და გეგმის თანახმად უნდა დამუშავდეს 5 წლის განმავლობაში.

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობა ისე, როგორც გურიის სხვა მეურნეობები ძალიან ჩამორჩენილია. დასახული გეგმის მხოლოდ 25 პროცენტია შესრულებული, თუ შესრულებათ მივიღებთ იმას, რომ დათესილია ჩაი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხოლოდ დათესვაზე ზრუნავენ, რაც შედარებით ადვილი საქმეა, მაგრამ დათესილის მოვლა-დამუშავება ძნელი ხდება. თუ ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას დავათვალიერებთ, ჩვენს წინ გადაიშლება ბარდითა და სხვა სარეველა ბალახებით დაფარული ჩაის ნათესები და გაუკაფავი ჯაგნარები. ამ გარემოების მთავარი მიზეზია ის, რომ მამულს არ გააჩნია საკმაო თანხა, რომ დაიქირაოს მუშა ხელი. მუშა დღიურად 2 მან. 20 კაპ. ღებულობს მაშინ, როდესაც მარტივი კვება მამულის სასადილოში 1 მან. 50 კაპ. ჯდება. ცხადია ამ პირობებში მუშაობაზე ყველა უარს აცხადებს, რის გამო მამული განიცდის მუშა-ხელის დიდ სიმცირეს. გეგმის თანახმად აღნიშნულ მეურნეობაში უნდა მუშაობდეს 800 მუშა, სინამდვილეში კი 60 კაცი მუშაობს. ხელისუფლება ხედავს რა ამ მდგომარეობას, მიმართავს გლეხთა ექსპლოატაციის შემდეგ საშუალებას: საბჭოთა მეურნეობა ხელშეკრულებებს სდებს კოლმეურნეობებთან, რომლის ძალით ეს უკანასკნელი ვალდებულია მიაწოდოს მამულს მუშა ხელი. კოლმეურნეობის მიერ გამოგზავნილ მუშა ხელს საბჭოთა მეურნეობა არაფერ არ აძლევს, უსწორდება კოლმეურნეობის გამომუშავებულ ნორმების მიხედვით, 1 მუშას ხვდება დღეში 1 მან. და 20 კ., ხოლო ძალით გარეკილი კოლმეურნეები თავიანთი ხარჯით მუშაობენ საბჭოთა მეურნეობებში. ძალით გამორეკილი გლეხების შრომის ნაყოფიერება სრულიად უმნიშვნელოა, ხშირად ისინი ანადგურებენ ჩაის ნათესებს, სჭრიან და მარხავენ მიწაში. ეს შენიშნა ადმინისტრაციამ და ყოველ ჯგუფს თითო მეთვალყურე მიუჩინა.

ზოგჯერ მეურნეობა იძულებულია ნარდათ გასცეს სამუშაოები. ამ შემთხვევაში მუშა-ხელი დღეში 5-6 მანეთს იჯენს; ეს შედარებით უკეთესი პირობები გლეხებს აქცევს კოლმეურნეობიდან. ისინი მირბიან საბჭოთა მეურნეობაში, რომ იქ ცხოვრების მცირედი სახსარი იშოვნონ, მაგ.: სოფ. ძიმითის ღარიბი გლეხი კომკავშირელი შ. სალუქვაძე გაექცა ძიმითის კოლექტივს და თავი შეაფარა ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას. ნარდი მუშაობით მან შესძლო 1 თვის განმავლობაში წუღისა და ხალათის ყიდვა, რაც კოლმეურნეობაში 1 წლის განმავლობაში არ ხერხდება. ეს ფაქტი სამაგალითო შეიქნა სხვა

გამოსავალი უნდა გამონახონ. მუშა ღებულობს ორ გირვანქა პურს. მის ხარჯზე მყოფნი კი თითო გირვანქას—შვიდ-შვიდ კაპეიკათ. ის იძულებულია დილით და სალამოობით მარტოკა პური სჭამოს. დიდი უმრავლესობა მუშებისა წარმოებაში დილით (დასვენების დროს) პურსა და ხახვს სჭამს და არ სარგებლობს იმ ერთი ჭიქა ჩაითაც, რომლის მიღება მას 10 კაპეიკათ შეუძლია. დრო გამოშვებით, დახურულ სასადილოებიდანაც არ გამოაქვს სადილი და პურზე კიტრს და მოხარშულ ქართობილს მიაჭმევს; მაგრამ არც ეს საშუალება ყოფნის მას დავალიანებიდან თავის დასაღწევათ. მუშა იძულებულია ბაზარზე გამოიტანოს ყველა ის საოჯახო ნივთები, რაც დღემდის შერჩა მას. რჩება მარტოკა ოთხ კედელს შორის და ყიდის იმ ერთ წყვილ ტანსაცმელსაც კი, რაც დახურულ გამანაწილებელიდან მიიღო (საფასურით). თვითონ აკერებს ძველებს და ატარებს როგორც სამუშაოთ ისე დასვენების დღეებშიაც. ვინ ყიდულობს ამ ნივთებს? არ არსებულა ისეთი სპეკულიაცია, როგორსაც დღეს აქვს ადგილი. ყოველგვარ სამრეწველო თუ სასოფლო პროდუქტებზე ხომ სახელმწიფო მონოპოლიაა დაწესებული. ამ პროდუქტების თავის მოყრა, ისე როგორც განაწილება, სახელმწიფო ორგანიზაციების ხელშია. აი განაწილების გზები: 1. დახურული გამანაწილებელი მ. დ. წიგნაკიანებისათვის. 2. დახურული გამანაწილებელი მუშებისათვის და 3. კომერციული მაღაზიები და კერძო ბაზარი. არსებობს სასურსათო წიგნაკები, რომლის საშუალებით მოსახლეობა მიმაგრებულია ამა თუ იმ გამანაწილებელ მაღაზიებზე. პირველ დახურულ გამანაწილებელზე მიმაგრებულნი არიან, ე. წ. ს. დ. წიგნაკების მქონენი, ამათ საქონელი, კომერციულ მაღაზიებთან შედარებით, ეძლევათ 90 პროც. უფრო იაფათ. აღნიშნულ გამანაწილებლებში მოიპოვება ყველი, კარაქი, შაქარი, ხორცი, ერბო, ბოსტნეული, ხილეული, მანუფაქტურა, ფეხსაცმელი. ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც ჩვეულებრივ მუშა-მოსამსახურეებს მხოლოდ სიზმარში შეუძლიათ ნახონ. საქმე იმაშია, რომ პირველ გამანაწილებელზე მიმაგრებული არიან «პასუხისმგებელი» კომუნისტები და გეპეუს ყველა თანამშრომლები. მეორე დახურულ გამანაწილებელზე მიმაგრებული არიან ფაბრიკა-ქარხნების მუშები, რომელთაც შეუძლია შეიძინონ პროდუქტები მცირე რაოდენობით და ისიც (არა ყოველივე სახის) განსაზღვრულ დროს. კომერციული მაღაზიებით და კერძო ბაზარით სარგებლობა საარაკო სიძვირის გამო შეუძლია მხოლოდ ბედნიერთ.

ეს ბედნიერნი არიან ის «პასუხის მგებელი» კომუნისტები, რომლებიც განუსაზღვრელ რაოდენობით იღებენ ხელფასს და დახმარებას ბოლშევიკ. ცეკას სალაროდან; ის «სპეცები», რომლებიც უსირცხვილოთ ითვისებენ სახელმწიფო ორგანიზაციების თანხებს, ის სპეკულიანტები და «წვრილი» ვაჭრები, რომლებიც კარგათ იცნობენ საბჭოთა ბაზარს, და აგრეთვე თვით მ. დ. წიგნაკების მქონენიც.

ასეთია სოციალური დაყოფა «სოციალიზმის» ქვეყანაში. მუშა კვლავ უმდაბლეს საფეხურზე იმყოფება და გაცილებით უფრო დაბეჩავებულია ნივთიერად «პასუხისმგებელ» კომუნისტთა რეჟიმში, ვინემ იყო მეფის დროს.

ქვეყნის სოციალისტურათ გარდაქმნისათვის ბრძოლა მოითხოვს ენერგიულ შრომას, დისციპლინას და მოთმინებას—აცხადებენ ბოლშევიკები, რაც ჩვეულებრივი ენით ნიშნავს: იშრომე შეუსვენებლივ, არ გააცდინო არც ერთი წუთი, დაკმაყოფილდი მცირედი ნასუფრალით, რაც გამოიმეტა შენთვის ხელისუფლებამ და არც კი იფიქრო საწინააღმდეგო ხმის ამოღებაზე.

«ერთგულათ სწიე ჭაპანი შენი, უსიხარულოთ დალიე დღენი», რადგანაც უნდა აღსრულდეს ბოლშევიკური «წინასწარმეტყველობა». სარგებლობს თუ არა მუშა სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლებით? რასაკვირველიაო, გიპასუხებენ ბოლშევიკები. მაგრამ, აბა გაბედოს რომელიმე მუშამ და რაიმე სთქვას შრომის პირობების სიმძიმეზე! მას მაშინვე დააპატიმრებს დაწესებულების საიდუმლო განყოფილება, შეადგენს სათანადო საქმეს და შემდეგ გააქანებენ ჩეკის სარდაფისაკენ, როგორც «მეამბოხეს».

სატლინის სახელობის ორთქლმავლის შემკეთებელ ქარხანაში ასეთს შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ერთ-ერთ კრებაზე ბოლშევიკებმა მოითხოვეს რომ მუშებს ემუშავათ დასვენების დღეებში და ნამუშევარი გადაედოთ სომხეთში მომხდარ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ (ასეთი სახის დახმარება ხომ აუარებელია); მუშების ერთმა ჯგუფმა პირდაპირ განაცხადა: ისედაც დაღლილ დაქანცულებს დასვენების დღეს ნუღა გვამუშავებთო. ასეთი გამოსვლა შეფასებულ იქნა, როგორც საერთო საქმის ხელის შეშლა და აღნიშნული ჯგუფი ჩაიბარა ჩეკის სარდაფებმა, საიდანაც გაანთავისუფლეს «ცოდვების» მონანიების შემდეგ. დაჭერილთა შორის კომუნისტებიც იყვნენ.

მუშები ვალდებული არიან იმუშავონ უქმე-დასვენების დღეებში სხვადასხვა სახის დახმარების ფონდისათვის. ასეთებია: კატასტროფა რკინის გზებზე, ელექტრო-სადგურების შეჩერებით გამოწვეული ზარალის დაფარვა, თვითმფრინავების აგების ფონდი და მრავალი სხვა. მართალია, საკითხი ვითომ წინასწარ კრებებზე გამოაქვთ, მაგრამ მისი გადაჭრის დროს აცხადებენ: «ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს აღნიშნული საკითხის ენტუზიაზმით მიღებას; მის წინააღმდეგ რაიმეს თქმაც კი დანაშაულია და დამნაშავე პასუხს აგებსო».

ამის შემდეგ უყრიან კენჭს. ჩეკის სარდაფის შიშით წინაალმდეგ ხელის აწევას აბა ვინ გაბედავს! ბოლშევიკებიც ასკვნიან: საკითხი მიღებულია ერთხმათო. ასეთია ბოლშევიკური კრების თავისუფლება.

სტალინის სახელობის ქარხანაში ასეთ ფაქტს ქონდა ადგილი. დაიწყო «ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ სესხზე» ხელის მოწერის კამპანია. ერთ დღეს, დამთავრდა თუ არა მუშაობა, დაღლილს და მშიერ მუშებს გამოუცხადეს დამონსტრაციაზე წასვლა, მაგრამ რადგან მუშებმა უკმაყოფილება გამოსთქვეს, ქარხნის ალაყაფის კარებთან და მახლობელ ქუჩის შესახვევებთან დააყენეს ქარხნის დარაჯები და რაიონის მილიციონერები, რომლებიც ქუჩაში გამოსულ მუშებს არ უშვებდენ მათი სახლისაკენ და ერეკებოდენ სადემონსტრაციოთ. მეორე თუ მესამე დღეს, აღნიშნულ ქარხანაში მოიწვიეს მუშათა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაადგენიეს (წაიკითხეს უჯრედში დამუშავებული ოქმი), რომ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სესხზე თვითეულმა მუშამ ხელი უნდა მოაწეროს ერთ ნახევარი თვის ხელფასის რაოდენობით. გაზეთები კი დიდის ამბით ავრცელებდენ—სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა არა ჩვეულებრივი ენტუზიაზმით თავი დამკვრელად გამოაცხადეს, სესხზე თვითეულის მიერ თვენახევრის ხელფასის მოწერითო.

პროფკავშირი არის კომპარტიის ერთ ერთი დამხმარე ორგანიზაცია ბოლშევიზმის ბნელი მიზნების განსახორციელებლად.

წარმოების დირექცია და პროფკავშირების რწმუნებული (კომუნისტია) ერთად შეთანხმდებიან ამა თუ იმ მუშის მოხსნის, ან სხვა ადგილზე გადაყვანის შესახებ. მორჩა და გათავდა. არც პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა, არც სახალხო სასამართლო მიიღებს მუშის განცხადებას. ამგვარათ მუშის დათხოვა დირექციის საქმეა ხოლო პროფკავშირი დათხოვილის დაცვის მაგაერ დირექციის მხარეზე დგება. პროფკავშირები ყველაფერში მუშის დამქირავებლის, სახელმწიფოს აგენტია: დასვენების დღეებში უსასყიდლოთ მუშაობას თვით პროფკავშირი ავალებს მუშებს და ვაი მას ვინც ამის წინაალმდეგ კრინტს დაძრავს: გამორიცხვა კავშირიდან, მოხსნა სამუშაოდან და ბოლოს ჩეკის სარდაფიც. ყოველ დღე იცვლება ხელ-შეკრულებათა მუხლები, თუ გინდ არ იცვლებოდეს, მუშამ არც კი იცის რა სწერია შიგ. ხელშეკრულება მხოლოდ ფორმისათვისაა დადებული საწარმოს დირექციისა და კავშირის გამგეობას შორის.

ყოვლათ უდანაშაულოთ ადმინისტრაცია აძლევს პასუხისგებაში ტრამვაის მუშა ნ. მ-ძეს. სამი თვის შემდეგ ის გაამართლა სასამართლომ და სამუშაოზე აღადგინეს, მაგრამ გაცდენილი თვეების ხელფასის გასწორებაში ადმინისტრაცია უარს ეუბნება და პროფკავშირიც ამას ამტკიცებს.

როგორც ზევით ვთქვით, აუტანელი პირობების გამო მუშები ტოვებენ ქარხნებს, გარბიან ერთი ადგილიდან მეორეზე და ასე დაუსრულებლივ ეძებენ უკეთეს ბედს. აქაც პროფკავშირი ზრუნავს არა მუშის უფლების, შრომის თავისუფლების დაცვაზე, არამედ მისი ხაზეინებისათვის დახმარებაზე, ძალადობით მუშების ერთ ადგილზე მიმაგრებაზე. და ასე ყოველგან და ყველაფერში პროფკავშირები არის ტირანიის საშვალება მუშათა კლასის დასამონავებლათ.

აუტანელი შრომა, არასაკმარისი და უვარგისი კვება იწვევს მუშების მასიურათ დაავათმყოფებას. საავათმყოფოებში ავათმყოფთათვის არ ყოფნის საწოლი ადგილები და ეს მაშინ როცა მუშები ერიდებიან საავადმყოფოში დაწოლას, რადგან იქ ავადმყოფი თითქმის ვერავითარ დახმარებას ვერ ღებულობს, არა იმიტომ, რომ ექიმები არ აქცევდენ ყურადღებას ავადმყოფებს და არ ზრუნავდენ მათზე, არამედ იმიტომ რომ ავადმყოფთ ვერ აწვდიან ვერც საკმარისს და სალ საზრდოს, ვერც წამალს. სრულებით არ იშოვება ქინა-ქინა, იოდი, ასპირინი, ერთი სიტყვით მთავარი და მასიური საჭიროების წამალი. «ბორის სიმქავეს» ყიდიან კოოპერატიულ სავაჭროებში და ისიც მისამაგრებელ წიგნაკებში აღნიშვნით, საამისოთ სპეციალურად შემოღებული წესით. მუშაობიდან მუშის განთავისუფლება ექიმს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ძლიერ დაზიანებულია, ან მძიმე ავადმყოფია.

დამზღვევი სალაროები, რისთვისაც მუშის ხელფასიდან 10 პროც. ყოველ თვიურად იტოვებენ, ავადმყოფობის დროს მუშის ხელფასის 75 პროც. უნაღდებს.

ასეთია ფაბრიკა-ქარხნის მუშის მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში და ის არამც თუ უფლებებო მონათაა გადაქცეული, არამედ გამხდარა უკიდურეს ექსპლუატაციის საგანი და ამავე დროს მისი ფიზიკური არსებობაც, კვებისა და ჰიგიენის მხრით, ჩავარდნილია უდიდეს საფრთხეში, როგორც ეს იყო ევროპიულ ქვეყნებში კაპიტალიზმის პირვანდელ ხანაში, როცა მის თვითნებობის არავითარი საზღვარი არ ჰქონდა.

გიტური.

თფილისი.

◆

პატიმართა მდგომარეობა ს. დ. იზოლიატორში

საქართველოს პოლიტ. სამართველოების (თითეულ რაიონში თითო პოლიტ სამართველოა) სარდაფები სავსეა სხვადასხვა დანაშაულის პატიმრებით, რომელთა შორის მძვინვარებს მრავალი სახის ავადმყოფობა—განსაკუთრებით მუცლის ტიფი.

აღარ არის ტევა მეტეხის ციხეში, რომელიც სპეციალურად პოლიტიკურ დამნაშავეებს «დაუთმეს».

პატიმართა რიცხვი 2500-მდე აღწევს, რის გამოც ერთ საკანში, რომლის ფართობი არ აღემატება 70-80 კვ. მეტრს მოთავსებულია 40-50 პატიმარი, ასე რომ პატიმრები ერთი მეორეზე თევზებივით აწყვია. ჩაკეტილია თვითეული კორპუსი; პატიმართ ეძლევათ ეზოში სეირნობისათვის ორი საათი დღეში, ერთი დილით და ერთი სალამოთი. კორპუსში ხშირათ ჩამოივლის ზედამხედველი, რომელიც ციხის უფროსის ბრძანებით სასტიკათ სდევნის ჯგუფურ ბაასსა და მეცადინეობას.

იყო შემთხვევა, როცა ციხის კომენდანტები დილას და სალამოს გადათვლის დროს პატიმრებს ავალებდენ ფეხზე გაჩერებას მაგრამ ამ ზომამ სასტიკი პროტესტები გამოიწვია, რაც გაფიცვამდის მივიდა, ადმინისტრაცია იძულებული გახდა უარი ეთქვა დამამცირებელ წესზე. გასულ შემოდგომაზე დაამზადეს და მეტეხის ციხის საპატიმრო საკნების ყველა ფანჯრებზე ააჭედეს ფიცრები კუბოს მსგავსათ, რამაც სინათლე დაახშო, მზის სხივებს საკანში არ უშვებს; ისედაც დახუთულ ჰაერს კიდევ უფრო ხუთავს.

საჭმელის მხრივ მდგომარეობა ერთობ ცუდია. თვითეულ პატიმარს დღეში ეძლევა ყოვლად უვარგისი შავი პური ხუთასი გრამის რაოდენობით. სადილს შეადგენს მწვანილისა და ქართობილის ნახარში. ხორცის ნახარშის კერძი ძლიერ იშვიათია, თვეში ერთხელ თუ მისცემენ ტუსაღებს. დილით და სალამოს კი პატიმართ ეძლევათ მხოლოდ ადუღებული წყალი, შაქარზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხშირია პატიმრებს შორის ავადმყოფობა, რაც გამოწვეულია ციხის ცუდი პირობებით. უკიდურეს შემთხვევაში ავადმყოფებს გზავნიან გამსახლის საავადმყოფოში, მაგრამ, რადგანაც იქ ჩვეულებრივათ არ არის ადგილი, ოთხი ხუთი დღის შემდეგ ავათმყოფს უკანვე აბრუნებენ საკანში.

გიტური.

თფილისი.

◆

გლეხებისათვის და ისინიც ცდილობდენ გაქცევას. აქაც საქმეში ჩაერია ჩეკა, დააპატიმრეს კომკავშირელი სალუქვაძე სხვა გლეხებთან ერთად და ოზურგეთის ჩეკის სარდაფში ჩაჭყარეს...

ლაითურის მეურნეობაში ძალიან მცირეა რიცხვი მუშების, რომელთა უმრავლესობას ყუბანის ოლქიდან გადმოხვეწილი გლეხკაცობა შეადგენს. სამუშაოდ ხშირად იწვევენ ოზურგეთის მუშა-მოსამსახურეებსაც დასვენების დღეებში. ამ შემთხვევაში ექიმს აკრძალული აქვს გასცეს ავადმყოფობის მოწმობა, თუ ავადმყოფი ლოგინად არ არის ჩავარდნილი. ფეხზე ავადმყოფობა საქმეს არ შველის. მამულში არსებული ცუდი კვებისა და აუტანელი პირობების გამო—მცირე ავადმყოფობა ადვილათ რთულდება; ამას ზედ ერთვის წამლების უქონლობა, რის შედეგია ხშირი სიკვდილი უბრალო ავადმყოფობის მიზეზით. ოზურგეთის კოოპერატიულ სასადილოს თანამშრომელი ქალი, ფეხზე ავადმყოფი, გაიწვიეს ლაითურში. სამუშაოდან ის გაანთავისუფლეს, როცა მისი მდგომარეობა უკვე გართულებული იყო. წაიყვანეს საავადმყოფოში საიდანაც სამი დღის შემდეგ მკვდარი ს. სამებაში გაასვენეს. ასეთი შემთხვევები საბჭოთა მამულებში ხშირად ხდება.

5. სკოლა.

საერთოდ გურიის სკოლების მდგომარეობა სრულ ანარქიულ სურათს იძლევა. რადგან სოფლის მასწავლებლის კისერზე გადადის ხელისუფლების ყოველგვარი კამპანიები, ის იძულებულია მოსწყდეს სკოლის საქმეს და გადაიქცეს ბოლშევიკური გეგმა-კამპანიების მსახურად. ხელისუფლებამ იცის, რომ მასწავლებელი, როგორც კულტურული ძალა, ახლო უნდა იდგეს ხალხთან და ამიტომ მას უამრავ დავალებებს აკისრებს. ის პირველი შუამავალია ხელისუფლებასა და გლეხობას შორის. გლეხობა ხედავს რა ამ გარემოებას, მასწავლებლებს საეჭვო თვალით უყურებს და ამით წყდება წინანდელი კავშირი მათ შორის.

აუარებელი სამუშაოებით გადატვირთული მასწავლებლობა აშკარად ხედავს მისი პრესტიჟის დაცემას, ამას ემატება ხელფასის სიმცირე (სოფ. მასწავლებლის ხელფასი 75 მან. აღწევს) და იძულებული ხდება სრულიად მიატოვოს თავისი პროფესია ან გაიქცეს სხვა უკეთეს ალაგას.

როგორც ვთქვით სკოლის დონე სრულიად დაცემულია. მოსწავლე ბავშები გამოყენებული არიან, როგორც მუშა ხელი. ამუშავებენ როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში—განურჩევლად ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობისა. ამ ნიადაგზე ხშირად ადგილი აქვს ბავშების დაღუპვას. მაგ.: ს. ჭანჭათის 4 წლედის მოწაფეები სამუშაოდ გაიყვანეს ჩაის სათესავად. ამავე სოფლის მცხ. სოლ. ჯაშის 11 წლის გოგონა, როცა მას ღობეზე გადაქონდა ჩაისთვის საჭირო ჩხირები, სარზე დაეცა და მუცელი გაეხია. მშობლების ენერგიული ცდით ბავში გადარჩა. ს. აკეთის კოლმეურნეობის სკოლის მოწაფე სერგო ჩხაიძე გაიყვანეს საბარავზე. ბავშების ერთმანეთში შეჯიბრების შედეგად აღნიშნული ბავში საშინლად გაოფლდა, გაცივდა, მიიღო ფილტვების ანთება და გარდაიცვალა. სოფ. ლიხაურის სკოლის ბავშები სამუშაოდ გაიყვანეს ანასეულის ჩაის პლანტაციებზე სამუშაოთ. მცირე-წლოვან ფეხ-შიშველ ბავშებს ამუშავებდენ პაპანაქება სიცხეში, რის მიზეზითაც ერთი მათგანი გარდაიცვალა თავში სიცხის ავარდნის გამო, ხოლო მეორე მოწაფეს, ღლონტს, დამბლა დაეცა და სამუდამოდ დაავადმყოფდა. ასეთი ფაქტები მრავლადაა.

არ არის სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები და სხვა. ბავშს სრულიად არ გააჩნია ტანსაცმელი, რის შედეგია სიკვდილიანობის ზრდა.

6. გამოსავალი გზების ძიება.

როგორც დავინახეთ, გლეხობა გამოუვალ ჩიხში მოექცა. ის კარგად გრძნობს ამას და ცდილობს როგორმე მონახოს გამოსავალი გზები. ბრძოლის მთავარ საშუალებად მან საბოტაჟი მიიჩნია: არ აბარებდა მთავრობას პროდუქტებს და ხშირად კერძო ბაზარზედაც არ გამოქონდა. არ ასრულებდა იმ სამუშაოს, რომელსაც მას ბოლშევიკები ავალებდენ. ამის საწინააღმდეგოთ მთავრობამ შემოიღო ე. წ. მტკიცე დავალებები, რის საილუსტრაციოთ საკმარისია ასეთი მაგალითი: გურიის კოლმეურნე გლეხებს სხვა საშემოდგომო სამუშაოებს გარდა (მოსავლის აღება, ბოსლების აგება და სხვ.) უნდა დაებარათ თვითეულს—ჩაისთვის—333 კვად. საჟენი მიწის ფართობი, რასაც სოფლის ხელისუფლებამ რაიონების კარნახით შემხვედრი გეგმის სახით დაამატა 30 კვ. საჟენი. ამ რიგად, თვითეულ კოლმეურნეს უნდა გაეწმინდა და დაებარა 363 კვ. საჟენი. ინდივიდუალურ მეურნეს კი უნდა დაებარა 150 კვ. საჟენი მეტი, რაც უდრის 513 კვ. საჟენს. ცხადია ამ ნორმების შესრულებას გლეხი ვერ ახერხებს, რასაც შედეგად მოსდევს კოლმეურნეობიდან გარიცხვა, საჩვენებელი გასამართლება, მასიური დაპატიმრება ჩეკის მიერ და სხვა მრავალი სახის სასჯელი. წინად გურიაში ჩეკა მხოლოდ ქ. ოზურგეთში იყო, ამჟამად 3 ჩეკის ორგანო მუშაობს: ქ. ოზურგეთში, ჩოხატაურში და ლანჩხუთში; აღნიშნული ადგილები ისე სავსეა დაპატიმრებულებით, რომ დასაწოლი ადგილიც არ არის. შიმშილობისა და აუტანელი პირობების გამო სარდაფებში მძვინვარებს მუცლის ტიფი და სხვა გადამდები სნეულებანი. ეპიდემიის ასეთი იშვიათი გავრცელება ეხება არა მარტო გურიას, არამედ მთელ საქართველოსაც...

გარეგნულად პოლიტბიურო თითქოს წესიერებისათვის ზრუნავს, სინამდვილეში კი თვით არის ყოველგვარი უწესოების ბუდე. მისი აგენტები და ოფიციალური თანამშრომლები აწყობენ ყოველგვარ ბნელ საქმეებს და ბოლოს გაჭირებულ ხალხს ატეხენ თავზე. მაგ.: სოფ. ლიხაურში გაძარცვეს კოოპერატივი. ამ საქმის გამო დააპატიმრეს რამოდენიმე ადგილობრივი გლეხი. ზოგიერთებს დააბრალეს კოოპერატივის გამქურდავ ყაჩაღებთან კავშირი და გადაასახლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ კოოპერატივის გაძარცვას და სხვა მრავალ ბნელ საქმეებს მეთაურობდა აღნიშნული სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე კომუნისტი და ჩეკის აგენტი კოლია ღლონტი, რომელსაც ეხმარებოდენ კოოპერატივის ნოქარი და კოლექტივის ბრიგადირი კომუნისტი მჟავანაძე. ფაქტის წინაშე დამდგარი ჩეკა იძულებული გახდა დაეპატიმრებია აღნიშნული პირები. ს. ჭანიეთში გასულ 12 ოქტომბერს გაძარცვეს გლეხები. გამძარცველებს შორის გლეხებმა იცნეს ოზურგეთის ჩეკის ცნობილი ჯალათი ერმილე ჯაყელი.

ნურავინ იფიქრებს, რომ ხელისუფლება არ ზრუნავდეს გლეხობის «კულტურული გართობისათვის». სოფლად, თვეში ერთხელ მაინც, სხვადასხვა მიზნით მართავენ წარმოდგენა-სალამოებს. გლეხებს აიძულებენ, რომ მოიტანონ ქათმები, კვერცხები და სხვა სანოვაგე, აყიდვინებენ ბილეთს და მიიწვევენ წარმოდგენაზე. თუ ვინმეს თითო ოროლა გროში შერჩა, მიდის წარმოდგენაზე და ყიდულობს მის მიერ მუქთად მიტანილ ღვინოსა და სანოვაგეს. იმართება ქეიფი, ხოლო შუაღამისას სკოლის ეზოში გაისმის მთვრალი გლეხის გაბედული და ბოღმით სავსე სიმღერა: «დედამ გამლახა, მამამ გამლახა,
კოლექტივმა ხომ მთლად დამაგლახა» და სხ.

რაც დრო გადის გლეხი სულ უარეს და უარეს პირობებში ვარდება. მისი ცხოვრება თანდათან აუტანელი ხდება, რადგან არსებობის გზები ყოველ მხრივ მოჭრილია. მას სდევნიან, აპატიმრებენ, ხვრეტენ, ასახლებენ, ართმევენ ყველაფერს, ხდიან მონად. ერთი სიტყვით, ის აშკარად ხედავს მოახლოებულ სიკვდილის აჩრდილს. ეს გარემოება იწვევს გლეხის სასოწარკვეთილებას, თავმობეზრებას. ხშირად გაიგონებთ ასეთ წამოძახილს: «ოღონდ ბოლშევიკები ნუ იქნებიან და ვინც უნდა ის მოვიდესო». თანამედროვე მდგომარეობას—ბატონყმობის ხანას ადარებს ის და ასეთი დასკვნა გამოაქვს: «ბატონს ოჯახიდან მხოლოდ ერთი ემსახურებოდა. ეხლა კი ყველა ყმებათ გაგვიხადეს. ბატონს მოსავლის ნაწილი მიჰქონდა, ბოლშევიკები კი მთლიანად გვართმევს ყველაფერს»ო. არის მასიური შემთხვევები, როდესაც გლეხები თხოვნით მიმართავენ ხელისუფლებას:—დაგვანებეთ ჩვენს ჭკუაზე მუშაობა და მოსავლის ნახევარს ჩვენ თითონ ჩაგაბარებთო. გლეხობის ერთი ნაწილი სრულიად ეცემა სულიერად და თვით მკვლელობამდე მიდის, მაგ.: ს. ლიხაურში სულით-ხორცამდე გატყავებულმა გლეხმა სილიბისტრო გობრონიძემ ხეზე თავის ჩამოხრჩობა მოინდომა. როცა ეს განზრახვა სისრულეში მოჰყავდა, გაუწყდა ყელზე მობმული თოკი და მოხუცი დაეცა ძირს, დაიმტვრა და ეხლაც დავრდომილია. ს. აცანის მოხუცმა გლეხმა ჩხაიძემ გადასწყვიტა თავის მოკვლა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩხაიძემ მთელი ქონება კოლექტივში შეიტანა, ხოლო ოჯახის გამოკვება ვერ შესძლო. გამწარებულმა სამართებელი დანა გამოისვა ყელში; სიკვდილს გადარჩა, მაგრამ სამუდამოთ დამახინჯებულია. სოფ. ძიმითში მცხ. გლეხმა სესიკო მელუამ მიმართა მთავრობას თხოვნით ეზო მაინც დაეტოვებიათ მისთვის, რომ დავრდომილი შვილი და უპატრონო შვილის შვილები ერჩინა. მაგრამ მას უარი გამოუცხადეს და ყოველგვარ სახსარს წართმეულმა გლეხმა მელუამ თოფით მოიკლა თავი. ლანჩხუთის მცხ. ღლონტმა ვერ აიტანა მუდმივი დაპატიმრება-წამება და ელექით შეპყრობილმა მოიკლა თავი. ასეთი შემთხვევები სხვაგანაც ხშირია.

ეკონომიურ და პოლიტიკურ შევიწროებას გლეხი ხშირად გაგიჟებამდეც მიჰყავს. მაგალ.: ძიმითის გლეხ გაბრიელ სამსონიას შემთხვევა, რომელიც კოლექტივიდან გამოაგდეს მთელი ქონების წართმევით.

გლეხობის დიდი ნაწილი სადმე გაქცევაზე ოცნებობს. ყველა დიდის სიხარულით მოიქცეოდენ ისე, როგორც მოიქცენ აჭარელი გლეხები (100-ზე მეტი აჭარელი გლეხი ერთბაშად გადავიდა ოსმალეთში, ასეთი გაქცევა გრძელდება ეხლაც). გლეხობის მეორე ნაწილი კი სახიფათო გზებს ეძებს: ფიქრობს გავარდეს ტყეში და იქიდან შეებრძოლოს არსებულ საშინელებას. საერთოდ, გლეხობის უმრავლესობას ასულდგმულებს ყოველდღიური მოლოდინი რაიმე საშინაო ან საგარეო გართულებისა. დიდი გატაცებით კითხულობენ ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტის შესახებ «კომუნისტში» მოთავსებულ ცნობებს, რადგან ამას, მათი აზრით, შესაძლებელია მოჰყვეს საბჭოთა საზღვრების გადმოლახვაც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხშირად ვრცელდება ფანტასტიური ცნობები, რომელიმე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის საზღვარ გარეთიდან გამოსვლის შესახებ, რომელმაც ვითომ მეთაურობა უნდა გაუწიოს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას. ერთ დროს გავრცელდა ხმები თითქოს ნოე ჟორდანია ჩამოვიდა საზღვარ გარეთიდან და განმათავისუფლებელ მუშაობას ხელმძღვანელობს; ან კიდევ: ნოე რამიშვილის საზიზღარი მკვლელობის შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს ის ცოცხალია, საქართველოში ჩამოსული და ბოლშევიკებს ებრძვის, ხოლო სიკვდილის ხმები ჩეკის მოსატყუებლად გავრცელდაო...

გურიის გლეხობის ეხლანდელ მდგომარეობას ოდნავადაც ვერ ამოსწურავს საგაზეთო წერილი. ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში!

ამ რამდენიმე ცნობების მიზანია ყველა დაინტერესებულთ საშუალება მისცეს ზოგადათ მაინც გაიცნოს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის—გურიის ეხლანდელი მდგომარეობა. ნურავინ იფიქრებს თითქოს მხოლოდ გურულების ხვედრი იყოს აღწერილი ტანჯვა-ვაება. აქ დასახული მდგომარეობა საერთოა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებისათვის.

გურია. X.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant ; René Toussaint.